ევროპა ჩვენია!

ლომი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 აპრილი პარასკევი 2013

№097 (14 013) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შავდათუაშვილისა და პაპინაშვილის

ოქროს დუბლი

ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში 10

ფუტსალის ოთხთა ფინალს მიშველ პლაჩინი გახსნის

2

დღეს 18:00 სპორტის სასახლეში

იბერია სტარი-დინამო (მოსკოვი)

ფუტსალი

სპორტის სასახლე ტურნირისთვის მზად არის
ფოტო: www.gff.ge

ოთხთა ფინალს მიშელ პლატინი გახსნის

დღეს სპორტის სასახლეში დიდი ფეხბურთის ზეიმია

დღეს დიდი ფუტსალი იწყება. სპორტის სასახლეში ევროპის საკლუბო ჩემპიონი "ბარსელონა" ყაზახურ "ყაირატს" დაუპირისპირდება, ხოლო საქართველოს ჩემპიონი "იბერია სტარი" რუსეთის საუკეთესო კლუბს, მოსკოვის "დინამოს".

ოთხთა ფინალამდე ერთი დღით ადრე, სპორტის სასახლეში მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება: დარბაზი უკვე გაფორმებულია, უეფას გამოგზავნილი ახალი შავი ფერის პარკეტი კი გუშინ დააგეს – ასეთი რანგის ტურნირები სხვა ფერის საფარზე არ ტარდება. პარალელურად, სპორტის სასახლეში აპარატურას ამონტაჟებს "ევროსპორტი", რომელსაც ფუტსალის თასის ოთხთა ფინალის ჩვენების ექსკლუზიური უფლება აქვს. რეპორტაჟები იყიდეს რუსულმა და ესპანურმა ტელევიზიებმა, საქართველოდან კი, ეს უფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ღონისძიებაზე საქართველოს დედაქალაქს ბევრი ცნობილი სტუმარი ეწვევა: უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** და ვიცე-პრეზიდენტები, სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებისა და კლუბების თავკაცები და ა.შ.

ტურნირის პარალელურად, დედაქალაქში გაგრძელდება სპორტული ზეიმი. 26 აპრილს, 15 საათიდან სპორტის სასახლესთან გრეხეტბოლსა და მინიფეხბურთში გასართობი თამაშები დაიგეგმა, გამარჯვებულებს პრიზებს ტურნირის სპონსორი კომპანია "ადიდასი" გადასცემს.

ერთი საინტერესო ისტორია, თუ რამდენად სასარგებლოა ფუტსალისა და მისი "ალალი ბიძაშვილის" მინიფეხბურთის თამაში კლასიკური ფეხბურთის ასათვისებლად.

"ლივერპულისა" და ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი **ლუკას ლეივა** ამბობს, რომ ბრაზილიელი მოზარდების მსგავსად, კარიერა ფუტსალის თამაშით დაიწყო და ეს გატაცება დაეხმარა, დღეისათვის პრემიერლიგაში თავის ამპლუაში ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი რომ არის.

"შეზღუდული სივრცის გამო, ფუტსალი ხელს უწყობს ტექნიკის განვითარებას, ბურთის უკეთესი ფლობის უნარს, პასის კულტურისა და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას. წლების განმავლობაში ამ სახეობაში ვარჯიშმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. პირველად 5 წლისამ სწორედ ფუტსალი ვითამაშე და ესტრელა დუ სულის გუნდში ბურთს 12 წლამდე ვაგორებდი, რის შემდეგაც ბალახის საფარზე გადავედი. შეუძლებელია, პატარა ბურთით ტექნიკა არ გააუმჯობესო. დიდ ფეხბურთში იშვიათად მეგულება ისეთი ტექნიკური მოთამაშე, როგორიც ფუტსალელი ფალკაო არის. ასე რომ, სანამ დიდ ფეხბურთზე ივლის, მიმაჩნია, რომ ბავშვმა ფუტსალის გაკვეთილები აუცილებლად უნდა გაიაროს" – ამბობს ლეივა.

იმავეს ამტკიცებენ **კლარენს ზეედორფი, ბებეტო, დანიელ ალვეში**. ფუტსალის ოსტატების თამაშის ხილვა მართლაც დიდი სიამოვნებაა. ქართველ გულშემატკივარს ეს ბედნიერება 26 და 28 აპრილს ელის. ყველანაირი მოტივაცია არსებობს - მორალური და ემოციური, რომ არ დავიზაროთ და შეხვედრებს დავესწროთ. ასე რომ, დღეს ყველანი თუ არა, 10 ათასი კაცი მაინც უნდა მივიდეს სპორტის სასახლეში და ჩვენს საყვარელ გუნდს, "იბერია სტარს" უქომაგოს, რომელსაც საქართველოს ღირსება ბევრჯერ დაუცავს. დღეს იმავეს რუსეთის საუკეთესო კლუბთან, მოსკოვის "დინამოსთან" შეეცდება.

ფაუსტინო პერესი (მარცხნივ) და ალიკ სარქისიანი

შეგახსენებთ, რომ ბილეთები სპორტის სასახლის სალაროებში იყიდება და დღიური ბილეთი 5 და 10 ლარი ღირს. სალაროები ღიაა 11-დან 18 საათამდე.

თამაშების განრიგი

26 აპრილი

იბერია სტარი — მოსკოვის დინამო 18:00

ბარსელონა — ყაირატი 20:30

იბერიას მწვრთნელი: სავსე ტრიბუნები დიდი სტიმული იქნება

გუშინ ფუტსალის ოთხთა ფინალის მონაწილე გუნდებმა სპორტის სასახლეში პრესკონფერენცია გამართეს. მედიას ჯერ "ბარსელონა"-"ყაირატის" წყვილის წარმომადგენლები შეხვდნენ.

მარკ კარმონა, "ბარსელონა" მთავარი მწვრთნელი: *"ბევრს ლაპარაკობენ, რა საერთოა კლასიკური და ფუტსალის "ბარსელონების" ფილოსოფიებს შორის. დიდი "ბარსელონა" უმაღლესი დონის ოსტატების კლუბია და თუ ჩვენ შორის მსგავსებას დაინახავენ, ეს დიდი პატივი იქნება. თუმცა, ცხადია, განსხვავება არსებობს. ჩვენი მეტოქე "ყაირატი" ოთხთა ფინალში ადრეც მონაწილეობდა, დიდი გამოცდილების მქონე კლუბია და ძლიერი მოთამაშეებიც ჰყავს. ასე რომ, დიდ წინააღმდეგობას ველით. რაც შეეხება "იბერია სტარს", ვაღიარებ, რომ თქვენს კლუბზე ბევრ ინფორმაციას არ ვფლობ. მიმაჩნია, რომ ჩემი გუნდი ახლა საუკეთესო ფორმაშია და წარმატების მიღწევა შეუძლია".*

ანუარ ორაზბეკოვი, "ყაირატის" ვიცე-პრეზიდენტი: *"კატალონიური კლუბი ფუტსალის გრანდიც არის, რომელიც თამაშის დიდი კულტურითა და მაღალი კლასის მოთამაშეებით გამოირჩევა. უმძიმესი დაპირისპირება გველის, რათა უეფას თასის ფინალში გავიდეთ. რაც შეეხება "იბერია სტარს", მასთან რამდენჯერმე ვითამაშეთ, კარგად ვიცნობთ და ახლა მისი ერთი ყოფილი წევრი ტომაზა ჩვენთან თამაშობს. შევეცდებით, რომ თბილისელ გულშემატკივარს თავი კარგად დავამახსოვროთ".*

ნახევარი საათის შემდეგ მედიასთან უკვე "იბერია სტარისა" და მოსკოვის "დინამოს" მწვრთნელები გამოცხადდნენ.

ალიკ სარქისიანი, "იბერია სტარის" მთავარი მწვრთნელი: *"გუნდი სულ რამდენიმე დღის წინ ჩამაბარეს და ამ მოკლე პერიოდში რადიკალურ ცვლილებებს ვერც განვახორციელებდი. მაგრამ "იბერიაში" 5 წელიწადია ვმუშაობ, ყველას კარგად ვიცნობ და მეც და ბიჭებიც შევეცდებით, ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ და ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ. რაც შეეხება შანსებს, მიმაჩნია, რომ 50/50-ზეა... "იბერიაში" მომხდარ ცვლილებებზე გულშემატკივარი უკვე ინფორმირებულია. ოთხი მოთამაშე წავიდა, მათ ნაცვლად კი სამი ბრაზილიელი მარსელო, კუმანო და ფაბიო, აგრეთვე სერბეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მარკო პერიჩი დავიმატეთ. ყველას მოვუწოდებ, მოვიდნენ და გაგვამხნევონ, 26 აპრილს კარგი თამაში იქნება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სპორტის სასახლე ბოლომდე შეივსოს, რადგან "იბერია" სწორედ ხალხისთვის თამაშობს".*

ფაუსტინო პერესი, მოკოვის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი: *"მეტოქეზე ბევრ ინფორმაციას არ ვფლობთ და ზუსტი წარმოდგენა არ გვაქვს, რადგან "იბერიაში" სერიოზული ცვლილებები მოხდა. ამიტომ წინდახედულება და სიფრთხილე გვმართებს. თუმცა, გუნდის თამაშები ელიტრაუნდსა და მოსამზადებელ ეტაპზე ვნახე და კარგი შთაბეჭდილება დატოვა".*

ერთი საინტერეს ამბავი: მოსკოვის "დინამოს" მეკარე **გუსტავო** დისკვალიფიცირებულია და საქართველოს ჩემპიონთან მოსკოველებს ვერ დაეხმარება.

მერაბ მამულაშვილი

U-19. ელიტრაუნდამდე

მარცხი, ამჯერად სერბეთთან

პორტუგალიის საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები კვლავ დამარცხდა. გუშინ **გია ცეცაძის** გაწვრთნილები სტადიონ "ფერნანდო სანტოსზე" სერბებს დაუპირისპირდნენ.

მანამდე გეტყვით, რომ პორტუგალიასთან პირველ შეხვედრაში 0:2 კი დავმარცხდით, მაგრამ პორტუგალიის ფედერაციის ვებგვერდზე ნანახმა ვიდეოკადრებმა გაოგნებული დაგვტოვა: პირველ ტაიმში ჩვენი მოთამაშეები სამჯერ დარჩნენ მეკარესთან პირისპირ, მეორე ტაიმში კი ოთხი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს და ვერც ერთით ისარგებლეს?! ისიც აღსანიშნავია, რომ დაცვაში მეტისმეტად ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ.

სერბეთთან შეხვედრის პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა. 73-ე წუთზე კი საქართველოს გუნდი ყაზანის "რუბინი 2"-ის თავდამსხმელმა **ნიკა კაჭარავამ** დააწინაურა – 1:0. ბალკანელებმა წონასწორობა 85-ე წუთზე აღადგინეს - 1:1.

90-ე წუთზე კაჭარავამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა, სერბებმა კი გამარჯვების გოლი გაგვიტანეს და 2:1 გაიმარჯვეს.

სამბრძოლო: მიქავა, გეგეჭკორი, სანდოხაძე, დვალი (85. ჭანტურია), უბილავა (60. მთივლიშვილი), ენდელაძე (60 კაჭარავა), ცნობილაძე, მარკოზაშვილი (67. სამუშია), ზივზივაძე, არაბული, ფანცულაია.

პორტუგალია-რუსეთის შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა. ერთადერთი გოლი მასპინძელებმა 71-ე წუთზე გაიტანეს, 1:0 გაიმარჯვეს და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცნენ.

საქართველოს ნაკრები ბოლო შეხვედრას 27 აპრილს რუსეთთან გამართავს.

მერაბ მამულაშვილი

სიტუაცია

მამა-შვილი გიორგი და ჯიჯი დარასელიები

ჯიჯი დარასელია ისრაელის 16-წლამდელებში

ისრაელის 16-წლამდელთა ნაკრებში **ჯიჯი დარასელია** მიიწვიეს. ის 1999 წელს არის დაბადებული, მხოლოდ 14 წლის გახლავთ და მისი მიწვევა ერთი წლით უფროსების გუნდში ამითაც არის აღსანიშნავი.

როგორ აღმოჩნდა ქართველი ბიჭი ებრაელთა ნაკრებში? ჯიჯი ახლო წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, ამჟამად კი ხაბაროვსკის "სკა-ენერგიას" მთავარი მწვრთნელის, **გიორგი დარასელიას** ვაჟი გახლავთ. თელ-ავივის "მაკაბის" საფეხბურთო აკადემიის გაზრდილია და ახლა ამ გუნდის 16-წლამდელებში თამაშობს.

სხვათა შორის, გიორგი დარასელიას უფროს ვაჟსაც გიორგი ჰქვია და ისიც საკმაოდ წარმატებული მოთამაშე იყო. მარჯვენა მცველი 17 წლის ასაკში ებრაულ ქვარსავას „ჰაპოელის" დუბლებში გამოდიოდა. რამდენიმე წლის წინ, უმცროსი **გიორგი დარასელია** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში **ზაურ სვანაძემ** გამოიძახა და ორი ტესტ-მატჩიც ჩაატარა. მაგრამ ქრონიკულმა ტრავმამ კარიერა ნაადრევად დაასრულებინა.

სამწუხაროდ, ისრაელში ხანგრძლივი საქმიანობის გამო, დარასელიებს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა მოუხდათ და ისრაელის პასპორტი აიღეს. მაგრამ წარმატებული კარიერის შემთხვევაში, ჯიჯი დარასელია საქართველოს ნაკრებზე უარს არ იტყვის.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

თარხნიშვილს ზარია დაზვერავს

თორნიკე თარხნიშვილი

27 აპრილს ლატვიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩია – ერთმანეთს "სკონტო" და "ვენტსპილსი" დაუპირისპირდებიან. როგორც შევიტყვეთ, ამ შეხვედრაზე დასასწრებად უკრაინული "ზარიას" სკაუტები ჩავლენ, რომელთა თვალთახედვის არეშიც "ვენტსპილსის" 22 წლის ქართველი ნახევარმცველი **თორნიკე თარხნიშვილია** მოქცეული.

თარხნიშვილმა "ვენტსპილსს" მიმდინარე წლის დასაწყისში ბოლნისის "სიონიდან" მიაშურა და მის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ლატვიის ვირსლიგის დაწყებიდან ოთხი ტურია გასული და თარხნიშვილის აქტივში 4 მატჩში გატანილი 2 გოლია.

იმედია, მომავალ სეზონს იგი უკრაინაში დაიწყებს. შეგახსენებთ, "ზარიას" ღირსებას **ჯაბა ლიპარტია** იცავს. ლუგანსკური კლუბი უკრაინულ პრემიერლიგაში დღეისთვის მე-10 ადგილზეა, არც ევროთასებზე მოხვედრის შანსი აქვს და არც გავარდნის საფრთხე ემუქრება.

ლევან ჯანეზაშვილი

● სპეციალისტის აზრი

ქართველი სპეციალისტები გერმანულ ფინალს წინასწარმეტყველებენ

ფინალი გერმანული იქნება

შოთა არველაძე: ალბათ ის, რაც აკლია... გიორგი კიკნაძე: გუნდესლიგა უფრო დაძაბული და დინამიკურია

ის, რაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალების პირველ მატჩებში მოხდა, სწორედაც რომ აქტუალური თემაა, რაზეც ყველგან ლაპარაკობენ და ცხადია, ქართულ საფეხბურთო სამყაროშიც.

"ბაიერნი" 4:0 "ბარსელონა" და "დორტმუნდი" 4:1 "რეალი" – ეს ისეთი მატჩები გამოდგა, რამაც ტენდენციებიც კი შეცვალა.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ქართველ სპეციალისტებსაც ვთხოვეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.

"ლელოს" რესპონდენტები შოთა არველაძე და გიორგი კიკნაძე არიან. არველაძე ახლა თურქული "ქასიმფაშას" მთავარი მწვრთნელია, რაც შეეხება კიკნაძეს, ისიც საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არაერთი გუნდი გაუწვრთნია.

შოთა არველაძე

შოთა არველაძე

- არაერთ სპეციალისტს უთქვამს, ფეხბურთში იმაზე მეტის მოგონება შეუძლებელია, რასაც "ბარსელონა" თამაშობსო – თუ მართლა ასე იყო, როგორ დაჯაბნა ასეთი გუნდი "ბაიერნმა"?

- ვფიქრობ, "ბაიერნს" ახალი არაფერი მოუგონებია "ბარსელონასთან" მატჩისთვის, ის თამაში აჩვენა, რასაც მიმდინარე სეზონის განმავლობაში თამაშობდა. "ბარსელონამ" კი საკუთარი თამაში ვერ აჩვენა როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად.

- მაინც რაშია "ბაიერნის" ძალა? ასეთი მანქანის შექმნას რა განაპირობებს? კარგი მწვრთნელი და ფეხბურთელები სხვა გუნდებსაც ჰყავთ, თუმცა "ბაიერნი" სულ სხვაა...

- ბოლო წლებია, რაც "ბაიერნი" განსაკუთრებულად ლამაზ, შემტევ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობს. მაღალი კლასის ფეხბურთელები და განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების გუნდი – სწორედ ეს განაპირობებს "ბაიერნის" სიძლიერეს და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

- და რაღა უნდა შემატოს ასეთ "ბაიერნს" პეპ გვარდიოლამ?

- ალბათ ის, რაც აკლია – სრულყოფილი ხომ არაფერია.

- ჩემპიონთა ლიგის ეს გათამაშება სამი მატჩის შემდეგ დასრულდება და ალბათ შეიძლება ამ კითხვის დასმა – ყველაზე უფრო რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდი?

- ნახევარფინალამდე ყველას ისევ მესი ჯობდა, თუმცა თუ რობენმა და ლევანდოვსკიმ ასე გააგრძელეს, ყველაზე წინ მათ დავაყენებ.

- "დორტმუნდის" ფენომენს როგორ ახსნიდი?

- იგივე შემიძლია ვთქვა, რაც "ბაიერნზე" – ძალიან კარგად გამართული გუნდია.

- ჩემპიონთა ლიგის ფინალი გერმანული იქნება?

- ვფიქრობ, "ბარსელონას" ფინალში გასვლის შანსი აღარ აქვს, "რეალს" მცირე შანსი კი შერჩა, თუმცა ფინალი ალბათ გერმანული იქნება.

გიორგი კიკნაძე

- გერმანული კლუბები თუ ასეთი უპირატესობით დაამარცხებდნენ ესპანურ გრანდებს, ალბათ ცოტას თუ ეგონა. მაინც რამ გამოიწვია ასეთი შედეგი?

- ამ საკითხს ასე ვუყურებ: ბუნდესლიგა და პრიმერადივიზიონი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.

- კონკრეტულად რას გულისხმობ?

- ესპანეთში ორი-სამი ისეთი გუნდია, სხვებს მკვეთრად რომ აღემატებიან, დანარჩენ კლუბებში ფინანსური კრიზისია და ვერ უმკლავდებიან მოწინავეებს. ამის გამო ესპანეთის ჩემპიონატი ისეთი დაძაბული ვერ არის, როგორიც ბუნდესლიგაა. გერმანიის ჩემპიონატში იშვიათი არ არის დიდი ანგარიშები, მაგრამ მაინც, გერმანელებმა თავიანთი ჩემპიონატით გაასწრეს ესპანელებს. "ბაიერნი" – "ბარსელონას" შეხვედრაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ლეო მესის ფაქტორიც, არგენტინელმა ვერ ითამაშა, ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და მივიღეთ 4:0. ფაქტია, ადრე ესპანეთის ჩემპიონატი უფრო დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა, ბოლო ორი წელი კი ასე აღარ არის.

- კიდევ რა ასპექტები შეამჩნიე "ბაიერნი" – "ბარსელონას" შეხვედრაში?

- მთელი მსოფლიო იმაზე მუშაობდა, რათა გაეგო, თუ რას წარმოადგენდა "ბარსელონას" თამაშის პრინციპი. ბავარიელთა დამრიგებელმა იუპ ჰაინკესმაც თქვა, არ მჭირდება პეპ გვარდიოლას რჩევებიო, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ჰაინკესმა მიაგნო ამ პრინციპს. საერთოდ ასეა – როცა რაღაც ძალიან კარგი და ძლიერი გამოჩნდება, მის დაძლევაზე მუშაობენ, ფორმულას ეძებენ და როცა გუნდში ისეთი შემსრულებლები გყავას, როგორებიც ფრენკ რიბერი, არიენ რობენი, ტომას მიულერი და ბასტიან შვაინსტაიგერი არიან, მიზნის მიღწევა შეუძლებელი აღარ არის - "ბაიერნმა" ყველაფრით აჯობა "ბარსელონას".

გიორგი კიკნაძე

- "დორტმუნდი" – "რეალის" მატჩზეც ვთქვათ – ამ დაპირისპირებაში რა აღმოჩნდა გადამწყვეტი? სწრაფ თამაშში ასე აშკარად რატომ დაიჯაბნა "რეალი"?

- ორივე გუნდი თანაბარ პირობებში შეხვდა ამ მატჩს – გერმანიის და ესპანეთის ჩემპიონატში ამ გუნდებს ყველაფერი გარკვეული აქვთ და ორივე მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზეა გადართული, ოღონდაც ჩემპიონატის დინამიკა გერმანიასა და ესპანეთში განსხვავებულია, ბუნდელიგა ახლა უფრო დინამიკური ტურნირია და "დორტმუნდსაც" ეს გამოადგა. ეს "რეალი" ისეთია, რომ უფრო კონტრშეტევებზე აწყობს თამაშს და "დორტმუნდმაც" მადრიდელებს მათივე იარაღი დაუპირისპირა – შეტევაში სწრაფი გადასვლა. " დორტმუნდმა" ეს "რეალზე" კარგად გააკეთა და გაიმარჯვა, რობერტ ლევანდოვსკიმ კი დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია.

- შენი პროგნოზი როგორია – ფინალი გერმანული იქნება?

- ზოგადად, როცა ასეთი რანგის მეტოქეები ხვდებიან ერთმანეთს, პროგნოზის გაკეთება ძალიან რთულია. ვფიქრობ, "რეალს" ფინალში გასვლის "ბარსელონაზე" უკეთესი შანსი აქვს, თუმცა ფინალი გერმანული რომ იქნება, ამის შანსი 99 პროცენტია. თასს კი ალბათ "ბაიერნი" მოიგებს.

დავით თავართქილაძე

● ვეტერანები

ევროპელ ვარსკვლავებში ქართველები ჭარბობენ!

ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის უკვე ცნობილია ის ინფორმაცია, რომ პირველ მაისს ბაქოში საინტერესო მატჩი უნდა ჩატარდეს: აზერბაიჯანის დედაქალაქში, „ბაილ არენაზე" ამ ქვეყნის ვეტერანთა ნაკრები ევროპელ ვარსკვლავებს დაუპირისპირდება. მასპინძელთა შორის იასპარეზებენ სტატიანი ქართველი ქომაგთათვის ცნობილი ფეხბურთელები: **ისკანდერ ჯავადოვი, მაშალლა ახმედოვი, იგორ პონომარიოვი ნაზიმ სულეიმანოვი, ველი კასუმოვი** და სხვები; თუმცა, სტუმართა შემადგენლობა ბევრად უფრო შთამბეჭდავია და ამაში თავად დარწმუნდებით. თუმცა, ვიდრე ვეტერან ევროპელ ვარსკვლავებს ჩამოთვლიდეთ, მანამდე იმას გეტყვით, რომ სტუმართა გუნდის მთავარი მწვრთნელი გერმანელი **ბერტი ფოგთსი** იქნება, ვინც უკვე წლებია აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების თავკაცად მუშაობს. ფოგთსის ასისტენტი კი არანაკლებ ტიტულიანი სპეციალისტი უელსელი **ჯონ ტოშაკი** გახლავთ: წარსულში „ლივერპულის" ლეგენდარული ცენტრვორფარდი სხვადასხვა დროს წვრთნიდა მადრიდის „რეალს", „რეალ-სოსიედადს", „დეპორტივოს", „ბეშიქთაშს", „სენტ ეტიენს", უელსისა და მაკედონიის ნაკრებებს. 2013 წლის 8 მარტიდან კი აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის, ლენქორანის „ხაზარის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ასევე აზერბაიჯანში მოღვაწეობენ ევროპელ ვარსკვლავთა შემადგენლობის ორი ფეხბურთელი: „ჰამბურგისა" და ფრანკფურტის „აინტრახტის" ყოფილი მეკარე **ული შტაინი** 2009 წლიდან აზერბაიჯანის ნაკრების სამწვრთნელო შტაბშია, ხოლო მისი ყოფილი თანაგუნდელი (1993-94 წლებში) ფრანკფურტის „აინტრახტში" **კახა ცხადაძე** კი ასევე მეოთხე წელიწადია ბაქოს „ინტერის" მთავარი მწვრთნელი გახლავთ. თუმცა, ცხადაძის გარდა ბაქოელი გულშემატკივრები სხვა ქართველ ვეტერანებსაც იხილავენ: **შოთა** და **არჩილ არველაძეები** ჩვენ მეზობლებს აქამდე მხოლოდ სანაკრებო დონეზე თუ დაპირისპირებიან, სამაგიეროდ, აზერბაიჯანელებს დღესაც კარგად ახსოვთ ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდების, **მურთაზ ხურცილავას, ალექსანდრე ჩივაძისა** და **თენგიზ სულაქველიძის** ჩინებული ბურთაობა. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ზემოთ ჩამოთვლილი ქართველების გარდა, სხვა ცნობილი ფეხბურთელებიც გამოვლენ: **ვაგიზ ხიდიატულინი, ანდრეი კანჩელსკისი** (ორივე — რუსეთი), **ლეონიდ ბურიაკი** (უკრაინა), **ანდრეი ზიგმანტოვიჩი** (ბელარუსი). ამათ გარდა ვეტერანთა მატჩში იასპარეზებენ ახლო წარსულის ცნობილი ფეხბურთელებიც: **ბერნდ შუსტერი** (გერმანია), **რუშთუ რეკბერი, ჰაქან შუქური, აბდულა ავჯი** (სამივე — თურქეთი), **დარიო შიმიჩი** (ხორვატია) და სხვები. არ არის გამორიცხული, რომ პირველ მაისამდე ევროპელ ვარსკვლავთა ნაკრებში რაიმე ცვლილება მოხდეს; თუმცა, ერთის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია: „გული გვიგრძნობს", რომ ევროპელ ვარსკვლავთა ნაკრებს კაპიტნის სამკლავურით... ქართველი გამოიყვანს! რა მიხვედრა უნდა, რომ საუბარია ქართული (და არა მარტო) ფეხბურთის ორ ცოცხალ ლეგენდაზე — მურთაზ ხურცილავასა და ალექსანდრე ჩივაძეზე, თავის დროზე რამდენიმე ათეულ მატჩში რომ უკაპიტნიათ საბჭოთა კავშირის ნაკრებისათვის. ისე, ჩვენთანაც რომ გავანებივროთ ხოლმე ქართველი გულშემატკივრები მსგავსი შინაარსის მატჩებით, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა...



მურთაზ ხურცილავა

გია გაგოშიძე

● ძველი ნაცნობი

პისკოვეცს ვოლინი ჩააბარეს

„გაგრას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** ლუცკის "ვოლინის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს.

უკრაინის პრემიერლიგის ამ კლუბის დამრიგებელი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **ანატოლი დემიანენკო** გახლდათ. სწორედ მან მიიწვია პისკოვეცი სარეზერვო გუნდის მთავარ მწვრთნელად. მაგრამ წაუმარტებელი თამაშის შემდეგ, დემიანენკო მოხსნეს, "გაგრას" ყოფილი დამრიგებელი კი პოსტს დროებით დაიკავებს.

დემიანენკოს ხელმძღვანელობით, გუნდმა 3 ქულა ბოლოს 2012 წლის 24 დეკემბერს მოიპოვა. მაგრამ უკვე მე-9 ტურია, "ვოლინს" არ მოუგია და დემიანენკო იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

შეგახსენებთ, რომ 65 წლის უკრაინელი სპეციალისტი "გაგრას" 2010-2012 წლებში ავარჯიშებდა და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა საქართველოს თასი მოიპოვა.

მერაბ მამულაშვილი

პირველი ლიგა, XXVI ტური

A ჯგუფი

გაგრა – სასკო	2:1
ბეთლემი – იმერეთი	1:1
სტუ – გურია	0:3
სძური – ჭიათურა	1:3
დინამო-2 – რაჭა	6:2
მეშახტე – სულორი	3:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გურია	26	22	2	2	72-15	68
2. სასკო	26	18	3	5	76-26	57
3. დინამო-2	27	16	5	6	77-40	53
4. გაგრა	27	16	3	8	53-29	51
5. იმერეთი	27	10	6	11	29-35	36
6. მეშახტე	27	9	6	12	31-52	33
7. სტუ	27	10	2	15	53-63	32
8. სძური	27	8	7	12	28-43	31
9. ბეთლემი	27	9	3	15	31-60	30
10. ჭიათურა	27	8	6	13	29-43	30
11. სულორი	27	5	4	18	22-62	19
12. რაჭა	27	5	3	19	31-64	18

B ჯგუფი

ალგეთი – ადელი	1:0
მერცხალი – ლიახვი	1:0
ლოკომოტივი – შუქურა	1:0
სამტრედია – სპარტაკი	2:1
სამგურალი – ჩხერიმელა	6:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სპარტაკი	23	18	2	3	58-12	56
2. ლოკომოტივი	25	15	5	5	61-26	50
3. სამგურალი	25	13	7	5	54-33	46
4. სამტრედია	25	14	4	7	42-31	46
5. შუქურა	23	14	3	6	42-18	45
6. კოლხეთი (ხ)	24	14	2	8	31-24	44
7. ალგეთი	24	10	3	11	37-41	33
8. მერცხალი	24	4	8	12	29-41	20
9. ლიახვი	25	3	6	16	23-57	15
10. ადელი	25	4	1	20	25-67	13
11. ჩხერიმელა	25	4	1	20	25-77	13

● აქტუალური საკითხი

კლუბი, როგორც დამატებითი ქონება

გინდათ უმაღლესი ლიგის გუნდი 100 ლარად?!

გასულაჯება უეფას მოთხოვნის შესრულების სანაცვლოდ

2013 წლის თებერვალში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართა, რათა 2004-2013 წლებში სახელმწიფოსთვის კერძო სამართლის იურიდიული პირების წილების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) ხელშეკრულებებს გასცნობოდა. მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა: 2006-2012 წლებში ასეთი ბევრი ფაქტი დაფიქსირდა. IDFI-ს კვლევებში წერია, რომ ზოგ შემთხვევაში საკუთრების გადაცემა ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს პროცესის გამჭვირვალობისა და კომპანიის მფლობელებზე შესაძლო სახელმწიფო ზეწოლის კუთხით. რამდენიმე საეჭვო შემთხვევა გამოავლინა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომაც“.

“აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოსთვის ძვირად ღირებული ქონების ჩუქების ან სიმბოლურ თანხად 1 ლარად მიყიდვის „სურვილი“ სახელმწიფო კომპანიების, მუნიციპალიტეტებს, თვითმმართველ ქალაქების გარდა, მრავალ კერძო კომპანიას და ფიზიკურ პირსაც უჩნდებოდა... გამოვლენილი შემთხვევები ბადებს მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ სახელმწიფოსთვის ქონების გადაცემა ყოველთვის ნებაყოფლობით ხასიათს არ ატარებდა და მესაკუთრის ნებას არ ასახავდა“, - ნათქვამია ორგანიზაციის სტატიაში.

რა შუაშია სპორტი და “ლელო”? IDFI-ს წარმოდგენილ სიაში საფეხბურთო კლუბების გადაცემის ფაქტებსაც წავაწყდით და ისეთი ციფრები იყო მითითებული, შეუძლებელია, უყურადღებოდ დაგვეტოვებინა.

აღმოჩნდა, რომ 2010 წლის 6 ივლისს სახელმწიფოს გადაეცა საფეხბურთო კლუბი “სიონის” წილის 51 პროცენტი, რომლის ღირებულებაც სულ რაღაც 1 100 ლარი ყოფილა?!

საჯარო რეესტრის 2010 წლის 18 იანვრის ამონაწერის მიხედვით საფეხბურთო კლუბ “სიონის“ 51 პროცენტი **ნუგზარ ლომთაძეს** ეკუთვნოდა (რომელიც დღესაც კლუბის დირექტორატშია), ხოლო 49% – ბოლნისის გამგეობას. 2010 წლის 6 ივლისის ხელშეკრულებით ლომთაძემ სახელმწიფოს თავისი წილი უსასყიდლოდ დაუთმო. ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 1 თებერვლის ბრძანებით, შპს “საფეხბურთო კლუბ სიონის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% გადაეცა ბოლნისის მუნიციპალიტეტს, როგორც “დამატებითი ქონება“.

ამ ოპერაციიდან ორიოდე დღეში, 2010 წლის 8 ივლისს სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა კიდევ ერთი საფეხბურთო კლუბი ფოთის “კოლხეთი“, რომლის 50-პროცენტიანი წილის ღირებულება კიდევ უფრო შოკისმომგვრელია – არც მეტი, არც ნაკლები 100 ლარი!

> **სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა ფოთის “კოლხეთი“, რომლის 50-პროცენტიანი წილის ღირებულება შოკისმომგვრელია – არც მეტი, არც ნაკლები 100 ლარი!**

საჯარო რეესტრის 2010 წლის 18 თებერვლის ამონაწერის მიხედვით, “კოლხეთის“ 50-პროცენტიანი წილის მფლობელი თვითმმართველი ქალაქი ფოთი იყო, დანარჩენი 50 პროცენტისა არანაკლებ საინტერესოა ამ საქმის გაგრძელება: შემდეგ ეს ორი კლუბი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე გადავიდა და მსურველთა მცდელობის მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში ასეთ გაყინულ მდგომარეობაში იმყოფებოდა – რეალურად, მას ვერც სახელმწიფო პატრონობდა და ახლოს არც კერძო პირს აკარებდნენ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მკითხველისთვის დიდი აღმოჩენა იქნება, რომ საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბის ყიდვა 1 000 და 100 ლარად იყო შესაძლებელი. თანაც ლაპარაკია ორ ისეთ სუბიექტზე, რომელთაგანაც ერთი საქართველოს ჩემპიონის ტიტულს ფლობდა, მეორე კი უძველესი ქართული კლუბია. ბრენდები თუ არ არიან, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, ასე იაფად თუ ფასობდნენ.

> **საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბის ყიდვა 1 000 და 100 ლარად იყო შესაძლებელი. თანაც ლაპარაკია ორ ისეთ სუბიექტზე, რომელთაგანაც ერთი საქართველოს ჩემპიონის ტიტულს ფლობდა, მეორე კი უძველესი ქართული კლუბია.**

ამ დროს, ყველას კარგად ახსოვს, თავად სახელმწიფო რა ძვირად ცდილობდა კლუბების კერძო მესაკუთრეთათვის გადაცემას. მაგალითად, როდესაც “ დილათი” ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენი დაინტერესდა, გორის კლუბი ვალებში იხრჩობოდა და ქონებაც არ გააჩნდა – სტადიონი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ამის მიუხედავად, მასში 330 ათასი დოლარი მოსთხოვეს. ესეც შენი “დამატებითი ქონება“, რომელიც უკუპროცესის დროს, თურმე, 1100 და 100 ლარი ღირდა. მერე იყო გაყიდვის მცდელობა და მოთხოვნა, რომ ასეთ კლუბებში ბიზნესს მინიმუმ 2 მილიონი ლარი ჩაედო.

კარგად გვახსოვს “სიონის” ყოფილი მმართველი დირექტორის, **გიორგი არევაძის** არაერთი ინტერვიუც, სადაც ის ამტკიცებდა, რომ კლუბის შეძენა და დაფინანსება კომპანია “მადნეულს” სურდა, მაგრამ სამინისტრო მის დათმობას არ ჩქარობდა. ამ თხოვნა-უგულებელყოფაში მთელი ერთი წელიწადი გაილია, ბოლოს “მადნეულმა” კლუბის შესყიდვა გადაიფიქრა და ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული საფეხბურთო კლუბი კვლავ სახელმწიფოს იმედად დარჩა, მისი განსახელმწიფოებრიობისა და განვითარების შანსი კი დაიკარგა.

არადა, ეს განკულაკება ხდებოდა იმ დროს, როდესაც უეფა უკვე დაუინებით იძლეოდა რეკომენდაციას, რომ კლუბები კერძო საკუთრებაში გადაეცათ და საამისოდ ცდა არ დაეკლოთ. იმ დროს, როდესაც ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა სხვაობაა კერძო და სახელმწიფო კლუბების მართვაში, მათი საქმიანობის ეფექტურობაში. ამაზე ელემენტარულად, სტატისტიკაც მეტყველებს – გადახედეთ, რამდენი მოთამაშეა ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში კერძო კლუბებიდან და რამდენი - სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფებიდან.

მერაბ მამულაშვილი

● ვარსკვლავი

ედენ აზარი

აზარი: ფრაკვარი გუნდია

რამდენიმე დღის წინ “ჩელსის” 21 წლის ბელგიელი ვარსკვლავი **ედენ აზარი** პრემიერლიგის ორი ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური პრიზის პრეტენდენტად დასახელდა. პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ის წლის საუკეთესო ფეხბურთელისა და წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზზე წარადგინა. პირველ შემთხვევაში მას **ხუან მატას** (ჩელსი), **ლუის სუარესის** (ლივერპული), **რობინ ვან პერსის, მაიკლ კერიკისა** (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი) და **გარეთ ბეილის** (ტოტენჰემი) კონკურენციის გაძლება მოუწევს, მეორე პრიზზე კი მისი კონკურენტები არიან გარეთ ბეილი, **ჯეკ უილშირი** (არსენალი), **დენი უელბეკი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **რომელუ ლუკაკუ** (ვესტ ბრომვიჩი) და **კრისტიან ბენტეკე** (ასტონ ვილა). აზარმა მსგავსი აღიარება “ლილში” ასპარეზობის დროს 2-2-ჯერ დაიმსახურა. ლიგა 1-ში წლის ფეხბურთელად ის 2011 და 2012 წლებში დაასახელეს, წლის ახალგაზრდა ფეხბურთელად კი 2009 და 2010 წლებში. აი, რას ამბობს ბელგიელი ვარსკვლავი:

- საფრანგეთში წლის ფეხბურთელად დამასახელეს და შესაბამისად, ვიცი, რამხელა პატივიც არის. ჩემთვის ნომინანტობაც კი ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ იმითაც ბედნიერი ვარ, რომ მიმდინარე სეზონში კარგად ვთამაშობ. თუკი ევროპა ლიგაზე ვიმარჯვებთ, ეს კიდევ უფრო დიდი საჩუქარი იქნება ჩემთვის. მთავარი გუნდია და არა ინდივიდუალური ჯილდოები. პრიზის მოპოვების ერთ-ერთი პრეტენდენტი ხუან მატაა. ის ძალიან კარგად თამაშობს, გოლებიც გააქვს და პასებსაც არიგებს. მე მას პრემიერლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მივიჩნევ. საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის კი ჩემი თანამემამულეები ლუკაკუ და ბენტეკე დაასახელეს. რომელმაც არ უნდა გაიმარჯვოს, მისი წარმატება ძალიან გამახარებს.

ლევან ბიბილაშვილი

● ამბები

ამბები ლივერპულის ლაზარეთიდან

“ლივერპულის” მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** დაადასტურა, რომ 22 წლის უნივერსალი მცველი **მარტინ კელი** გუნდს მხოლოდ 2013/14 წლებისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე შეუერთდება. ბედშავმა მარტინმა მუხლის ჯვარედინი მყესები გასული წლის სექტემბერში გაიწყვიტა. ექიმებმა რამდენჯერმე დათქვეს ფეხბურთელის მოედანზე დაბრუნების თარიღი, მაგრამ მკურნალობა პროგნოზის მიხედვით ვერ წარიმართა. კელიმ მსუბუქი ინდივიდუალური ვარჯიში სულ რამდენიმე დღის წინ დაიწყო. “მიმდინარე სეზონში მარტინის მოედანზე გაყვანის აზრს ვერ ვხედავ, მანამ ვიდრე ამის უფლებას მივცემთ ჯობია, ბოლომდე ვიყოთ დარწმუნებულები, რომ მას საფრთხე უკვე აღარ ემუქრება. მისი ჯანმრთელობის ხარჯზე გარისკვას არ ვაპირებთ,” – აცხადებს როჯერსი.

აქვე გეტყვით, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობენ **რაჰემ სტერლინგი** და **ფაბიო ბორინი,** ასე რომ, ისინი შეიძლება ხვალვე ვიხილოთ “სენტ ჯეიმს პარკზე” “ნიუკასლის” წინააღმდეგ შეხვედრაში.

სუონსი უკვე მომდევნო სეზონზე ფიქრობს

“სუონსისა” და უელსის ნაკრების 24 წლის მარცხენა მცველმა **ნილ ტეილორმა** გასული წლის 1 სექტემბერს, პრემიერლიგის III ტურის შეხვედრაში “სანდერლენდის” წინააღმდეგ (2:2) მე-20 წუთზე კოჭის უმძიმესი მოტეხილობა მიიღო და მას მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა. “გედების” განაცხადში ის 20 აპრილს “საუთჰემპტონთან” შეხვედრაში დაბრუნდა. მართალია, ოპტიმალური ფორმისგან ძალიან შორს არის, მაგრამ ფეხბურთელი იმედს არ კარგავს, რომ **მიკაელ ლაუდრუპი** მას თავის გამოჩენის შანსს მისცემს. ამას გარდა ნილი უკვე მომავალზეც ფიქრობს და აცხადებს: *“მომდევნო სეზონის დაწყებამდე ჩვენ ალბათ მძიმე წინასასეზონო შეკრება გველის, რადგან ჩემპიონატის გარდა გუნდი ევროპა ლიგის თამაშებისთვისაც უნდა მოემზადოს. დავითვალე “ჩელსისა” და “ნიუკასლის” მიერ ჩატარებული თამაშების რაოდენობა და მინდა ვთქვა, რომ ეს რაღაც დაუჯერებელია. ჩვენისთანა გუნდისთვის კი სეზონი კიდევ უფრო გრძელი იქნება”.*

ლენონი მწყობრს უბრუნდება

“ტოტენჰემის” 26 წლის განაპირა ნახევარმცველმა **აარონ ლენონმა** მუხლის ტრავმა 4 აპრილს “ბაზელთან” ევროპა ლიგის შეხვედრაში მიიღო, რის გამოც გუნდს მომდევნო სამ შეხვედრაში დააკლდა. ფეხბურთელმა სრული დატვირთვით ვარჯიში წინა კვირას განაახლა, მაგრამ “მანჩესტერ სიტისთან” განაცხადში ფიზიკური ტესტის ჩაგდების გამო ვერ მოხვდა. ამჯერად ის უკვე სრულ მზადყოფნაშია და უქმეებზე “უიგანთან” თამაშს გეგმავს.

სინკლერი უკმაყოფილოა

“მანჩესტერ სიტის” 24 წლის ნახევარმცველი **სკოტ სინკლერი** უკმაყოფილოა, რომ გუნდში მხოლოდ ღრმა რეზერვისტის სტატუსით სარგებლობს. არადა, “სუონსიში” 2011/12 წლების სეზონის შემდეგ მას ინგლისის ნაკრებში გამოძახების კანდიდატად განიხილავდნენ. ამ ზაფხულს ფეხბურთელს ერთწლიანი იჯარით სურს სხვა კლუბში გადასვლა. სინკლერით დაინტერესებულთა შორის ყველაზე ხშირად “ევერტონსა” და “სუონსის” ასახელებენ. ამ კლუბებს ევროპა ლიგაზე თამაში ელით. შესაბამისად, ისინი შემადგენლობის გაძლიერებასაც გეგმავენ.

ელერდაისი მეტს არც გეგმავდა

SKAY SPORTS-თან ინტერვიუში “ვესტ ჰემის” მთავარმა მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** მიმდინარე სეზონში საკუთარი გუნდის თამაში შეაფასა და განაცხადა, რომ ცხრილის შუაში ადგილის დამკვიდრება ის მაქსიმუმი იყო, რისი იმედიც შეიძლებოდა მას ჰქონოდა. *“სეზონის დაწყებამდე მიმაჩნდა, რომ მე-10 ადგილი ჩვენთვის მაქსიმალური შედეგი იქნებოდა. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდა. ამჟამად ისეთ ადგილას ვართ, რომ სეზონის დასრულებამდე სანერვიულო აღარაფერი დაგვრჩა, ასე რომ, საკუთარ თამაშზე კონცენტრაცია იოლად შეგვიძლია,”* – განაცხადა “დიდმა სემმა”.

ლევან ბიბილაშვილი

ლივერპული

სუარესი: წავალ, ბატონო!

ურუგვაელი 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციით შოკირებულია

ლუის სუარესი სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სეზონის დასრულების შემდეგ მიიღებს

"გარდიანის" მტკიცებით, მას მერე, რაც ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ **ბრანისლავ ივანოვიჩის** კბენის გამო **ლუის სუარესს** 10-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცა, 26 წლის ფეხბურთელი პრემიერლიგიდან წასვლაზე სერიოზულად დაფიქრდა. გამოცემის მტკიცებით, მისით მადრიდის "ატლეტიკო" დაინტერესდა, ვინც **რადამელ ფალკაოს** შემცვლელს ეძებს.

ასოციაციის გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმება "ლივერპული". კლუბი კომისიისგან წერილობით ახსნა-განმარტებას ელოდება, არასპორტული თავდასხმისთვის სტანდარტულად განსაზღვრული სამი მატჩიდან რატომ ავიდა სანქცია ათ თამაშამდე. მერსისაიდელებს დღეს შუადღემდე დრო ჯერ კიდევ აქვთ განაჩენის სააპელაციო წესით შესაცვლელად, მაგრამ აპელაციისას არც ის არის გამორიცხული, რომ ფეხბურთელის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ურუგვაელი პრემიერლიგას დატოვებს, ინგლისური მხარე იმ ქვეყანას, სადაც ის კარიერის გაგრძელებას გადაწყვეტს, დაჟინებით მოსთხოვს ფეხბურთელზე სანქციის გავრცელებას. ანალოგიური თხოვნა 2012 წლის ზაფხულზე საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დააკმაყოფილა. ინგლისში 10 მატჩით დასჯილ **ჯოი ბარტონზე** დისკვალიფიკაცია ამ ქვეყანაშიც გავრცელდა.

"ლივერპულმა" ოფიციალურად უარყო, რომ ლუისის სასჯელი გუნდში მის მომავალზე გავლენას მოახდენდა, მაგრამ კლუბი ფეხბურთელის საბოლოო გადაწყვეტილებას დაელოდება. გააჩნია, თავად თუ მოინდომებს დარჩენას ქვეყანაში, სადაც მას მეორედ დააკისრეს უმძიმესი სასჯელი. სუარესის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ფეხბურთელის აგენტი **პერე გვარდიოლა** (**პეპე გვარდიოლას** ძმა) ამ დღეებში ლივერპულს ესტუმრება, სადაც **ბრენდან როჯერსთან** და **იან ეირთან** პირისპირ შეხვედრას გეგმავს.

რეინა ორმაგ სტანდარტებზე ალაპარაკდა

"ლივერპულის" გოლკიპერის, 30 წლის **პეპე რეინას** თქმით, ასოციაციის გადაწყვეტილებას ის აბსურდულად და არასამართლიანად მიიჩნევს. აი, რას ამბობს:

- ასოციაციაში სუარესის მიმართ განსაკუთრებულად უარყოფითად არიან განწყობილნი, რადგან ის ურუგვაელია. ლუისმა თავად აღიარა, რომ არასწორად მოიქცა, მაგრამ ის მაინც განტევების ვაცად გამოიყვანეს. რასისტული გამოხდომებისთვის ვილაცას 4 თამაშის გამოტოვებით სჯიან, ვილაცას – 8-ით. სად არის აქ სამართალი? სუარესი მშვენიერი პარტნიორია მოედანზე, მაგრამ ხანდახან მეტისმეტად აგრესიული ხდება მეტოქის მიმართ, რაც მას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. მსგავსი ეპიზოდი 2006 წელსაც მოხდა, როცა ჯერმეინ დეფომ ხავიერ მასკერანოს უკბინა, მაგრამ დეფოს ინგლისელობამ მაშინ თავისი როლი ითამაშა.

ვარსკვლავი

სამურაის იმედგაცრუება



"მანჩესტერ იუნაიტედს" "დორტმუნდიდან" 24 წლის ნახევარმცველის **შინჯი კაგავას** შეძენა 16 მილიონი ევრო დაუჯდა. იაპონელმა ინგლისურ გრანდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. გერმანიაში მიჯრით ორჯერ ჩემპიონატის მოგების შემდეგ ფეხბურთელმა წელს პრემიერლიგაშიც იმარჯვა, მაგრამ საერთო ჯამში საკუთარი ასპარეზობით ის მაინც უკმაყოფილოა, რადგან ძირითად შემადგენლობაში ფეხი მყარად ვერ მოიკიდა. "იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ყველასთვის მეჩვენებინა, თუ რა შემიძლია, მაგრამ ტრავმების გამო ბევრი რამ ისე არ მოხდა, როგორც ვგეგმავდი. გულწრფელად ვაღიარებ, რომ "იუნაიტედის" ჩემპიონობაში ჩემი წვლილი არ არის ისეთი დიდი, როგორც ეს "დორტმუნდში" იყო ხოლმე. მეორე მხრივ, რთულმა სეზონმა ბევრ რამეზე დამაფიქრა. მივხვდი, მწვრთნელები და გულშემატკივრები რას ელოდებიან ჩემგან და სამომავლოდ რაზე უნდა ვიმუშაო ყველაზე მეტად. ზედიზედ მესამე საჩემპიონო სეზონის შემდეგ ვგრძნობ, რომ ჩემი კარიერა აღმავლობის გზაზეა," – აცხადებს კაგავა.

პრობლემა

თანადგომა გაჭირვებულებს

და დაუნდობელი ბრძოლა გარიგებული თამაშების წინააღმდეგ

დღეს ესპანეთის პროფესიულ საფეხბურთო ლიგას ახალი პრეზიდენტი **ხავიერ ტებასი** ჩაუდგება სათავეში. "მარკას" ცნობით, მას უკვე გადაწყვეტილი აქვს, თუ რას გააკეთებს პირველად ახალ, საპასუხისმგებლო პოსტზე: ტებასი პირველ რიგში სატელევიზიო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილების წესის შეცვლას გეგმავს. ლიგის ხელმძღვანელობა ერთი მხრივ "რეალსა" და "ბარსელონას", მეორე მხრივ კი ყველა დანარჩენს შორის არსებული ფინანსური უფსკრულის შემცირებას გეგმავს. მოსალოდნელია, რომ გრანდებს წელიწადში 175 მილიონი დარჩებათ (როგორც ეს დღეს ხდება), ნაკლებად პოპულარული და ტრანსლირებადი გუნდების შემოსავალი კი 35 მილიონამდე გაიზრდება. ეს შესაძლებელი გახდება, თუკი ლიგა მაუწყებლებთან 1 მილიარდ ევროდ შეფასებული 3-წლიანი კონტრაქტის დადებას მოახერხებს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ლაპარაკი არ არის "რეალისა" და "ბარსასთვის" შემოსავლების დაკლებაზე. პრიმერას გუნდებს შორის შემოსავალში სხვაობა იმის წყალობით შემცირდება, რომ თამაშების ჩვენებების უფლებაზე მინიმალური გადასახდელი თანხა გაიზრდება.

ამას გარდა ტებასმა ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ლიგისთვის პრიორიტეტულ ამოცანებზეც ილაპარაკა: "უმთავრესი პრობლემა გარიგებული მატჩებია. თუკი ჩვენს ჩემპიონატში საეჭვო თამაშები იმართება, ეს ნიშნავს, რომ სისტემა გამართულად არ მუშაობს. აღნიშნულ თემაზე უკვე ველაპარაკე ფეხბურთელთა პროფკავშირებსა და კლუბების დირექტორებს. არსებობს გარკვეული გარიგებები იმ გუნდებს შორის, რომელთაც გავარდნის საფრთხე ემუქრებათ. ეს ერთეული შემთხვევებია, მაგრამ მაინც მიუღებელია. ჩვენ ბოლომდე უნდა გავერკვეთ ამ სისტემაში და მას ბოლო მოვუღოთ. იმისთვის, რომ პროგრესის გზას დავადგეთ, მსგავსი მოვლენები უნდა აღმოიფხვრას. კლუბების წარმომადგენლებს ეს ყველაფერი ესმით და გვერდში მიდგანან. არ ვაპირებ, ვინმეს შუბლზე იარაღი დავადო და ისე ვაიძულო ამ საქმეში ჩვენთან თანამშრომლობა, მაგრამ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მივიღებთ, სათანადო რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნებათ".

ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ხავიერ ტებასი

ამბები

ტურეს ინგლისში ურჩევნია

კოლო ტურე

"მანჩესტერ სიტის" 32 წლის მცველ **კოლო ტურეს** ივნისის ბოლოს ხელშეკრულება უწურდება. კლუბი მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ გეგმავს. ივუარელს მსურველები ალბათ პრემიერლიგაშივე გამოუჩნდება, ყოველ შემთხვევაში მას ამის იმედი აქვს. "სიტიში" ჩემს ძმასთან ერთად 4 ფანტასტიკური წელიწადი გავატარე. ჩემი ოჯახი აქ ცხოვრობს, ბავშვები ადგილობრივ სკოლაში დადიან, მაგრამ რაკი კლუბი დარჩენას არ მთავაზობს, შევეცდები ცვლილებები მათთვის რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული იყოს. იდეალური ვარიანტი იქნება, თუკი ინგლისშივე დავრჩები სათამაშოდ," – აცხადებს კოლო ტურე. ჯერჯერობით ყველაზე ხშირად მის სახელს "მონაკოს" უკავშირებენ. **კლაუდიო რანიერის** გუნდი ლიგა 2-ის დასრულებამდე 5 ტურით ადრე უახლოეს მდევრებს 7 ქულით უსწრებს და პრაქტიკულად განაღდებული აქვს ელიტაში დაბრუნება. იტალიელი მომდევნო სეზონისთვის შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს.

სტოკის საკადრო პრობლემები

მარკ ვილსონი

პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში "ქუინზ პარკთან" "სტოკ სიტის" 25 წლის მარცხენა მცველმა **მარკ უილსონმა** მუხლქვეშა მყესი მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ დაიშავა და ვარჯიშებს გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა. დარჩენილ თამაშებში ის ასპარეზობას ალბათ ველარ მოახერხებს. "ჩვენი ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რომ უილსონმა რაც შეიძლება სწრაფად მოახერხოს ფეხზე დადგომა. ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, მარკისთვის ლოცვაა. როდის მოახერხებს ვარჯიშის განახლებას ეს ჯერ კიდევ უცნობია," – განაცხადა "სტოკის" მთავარმა მწვრთნელმა **ტონი პულისმა**. ჯანმრთელობის პრობლემების გამო ირლანდიელმა სულ 16-ჯერ ითამაშა. ხერხემლის პრობლემების გამო ჯერჯერობით ლაზარეთში რჩება 31 წლის **მეთიუ ეთერინგტონიც**.

რობიბლანკოს ურუგვაელი ახალწვეული

მადრიდის "ატლეტიკოს" ცნობით, 18 წლის ურუგვაელმა ცენტრალურმა მცველმა **ხოსე მარია ხიმენესმა** სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა, რის შემდეგაც მადრიდულ გრანდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. წყარო გარიგების ფინანსურ დეტალებზე დუმს. "ხიმენესი უნიჭიერესი ფეხბურთელია. მას პასის კულტურა აქვს, ამას გარდა მშვენივრად ფლობს ბურთს და ძლიერი დარტყმაც აქვს. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კარგი ტრანსფერი გავჩარხეთ," – განაცხადა "ატლეტიკოს" სპორტულმა დირექტორმა **ხოსე ლუის კამინერომ**. "თითოეულ ეპიზოდში ბოლომდე ბრძოლა მახასიათებს, ვთამაშობ ისე, თითქოს ჩემს ცხოვრებაში ეს უკანასკნელად ხდებოდეს. რაკი გამძლეობის პრობლემა არ მაქვს, ყოველ შეხვედრაში 100%-ით ვიხარჯები," – ასე დაახასიათა საკუთარი თავი ფეხბურთელმა ესპანელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში.

ვალენსიას ვალვერდე არ ეთმობა

კვირის დასაწყისში "ვალენსიას" სპორტულ დირექტორ **ბრაულიო ვასკესსა** და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ერნესტო ვალვერდეს** შორის თანამშრომლობის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი გაიმართა, - იუწყება "ასი". დასკვით ეტაპს მხარეები მაისში გამართავენ. "ღამურები" კმაყოფილი არიან 49 წლის ბასკი სპეციალისტის მუშაობით. დარჩენის საწინააღმდეგო არც თავად სენიორ ერნესტოს აქვს. მას ერთადერთი რამ აფიქრებს: ძირითად აქციონერებთან კონფლიქტის გამო პრეზიდენტმა **მანუელ ლორენტემ** კლუბი ცოტა ხნის წინ დატოვა, ზაფხულზე კი "ვალენსიაში" ახალი პრეზიდენტი მივა, ვისაც შესაძლოა, მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე ვალვერდესგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს.

ბენიტესი კმაყოფილია

არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო "ჩელსიმ" 2012 წლის ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორ **რობერტო დი მატეოს** 20 ნოემბერს კარისკენ მიუთითა და მეორე დღესვე გუნდი **რაფა ბენიტესს** ჩააბარა. ესპანელს თავიდანვე განუმარტეს, რომ ის "ჩელსიში" მხოლოდ სეზონის ბოლომდე იმუშავებდა. შემოდგომიდან მოყოლებული, ვინ აღარ დასახელდა ლონდონელთა მომავალ მთავარ მწვრთნელად, მაგრამ რაფაზე სიტყვა არავის დაუძრავს. "ტოპკლუბში ვმუშაობ და ჩემ გარშემო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მოვალეობებს ღირსეულად ვართმევ თავს. პრემიერლიგაში სამეულში მოხვედრის მშვენიერი შანსი გვაქვს. ამას გარდა ევროპა ლიგის მოგებაც შეგვიძლია. როგორ წარმომიდგენია საკუთარი მომავალი? მოდი, ამაზე სეზონის დასრულების შემდეგ ვილაპარაკოთ, როცა ჩემი მუშაობის შედეგების შეჯამების დრო დადგება," – განაცხადა ბენიტესმა.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

რაფა ბენიტესი

● ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი

არგენტინული დერბი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა

ნიუელსი-ველესი 0:1

გოლი: 0:1 ალიონე (63).

ნიუელსი (4-3-2-1): გუსმანი – მ. კასერესი, ვერხინი, ჰაინცე, კასკო – რ. ვილიალბა, ჰ. პერესი, კრუსადო (81. ბერნარდი) – ვ. ფიგეროა (68. ტონსო), მაქსი როდრიგესი (68. ურუტი) – სკოკო.

ველესი (4-3-1-2): ს. სოსა – კუბერო, საბია, ს. დომინგესი, პაპა – სერო, ალიონე (76. სილსი), რაცოტი – ფ. ინსუა (90. გ. დიასი) – კოპეტე, პრატო (92. რესკალდანი).

გაძევება: კუბერო (84. ველესი).

მაქსი როდრიგესი და ფაბიან კუბერო

ლიბერტადორესის თასის 1/8-ფინალური ეტაპი "ნიუელს ოლდ ბოისის" და "ველეს სარსფილდის" თამაშით დაიწყო. ეს კლუბები ერთმანეთს რამდენიმე დღის წინ, არგენტინის ჩემპიონატის ეგიდით შეხვდნენ. მასპინძელი "ველესი" გახლდათ, რომელიც მოედანზე მეორე შემადგენლობით გამოვიდა, "ნიუელსმა" კი ძირითადი გუნდით იასპარეზა, რადგან **ხერარდო მარტინოს** შეგირდები პირველობისთვის საშინაო არენაზეც იბრძვიან. ის მატჩი "ნიუელსმა" 3:1 მოიგო, მაგრამ, როგორც ჩანს, "ძველი ბიჭები" ორ ფრონტზე ბრძოლით გადაიღალნენ და უფრო მნიშვნელოვანი მატჩი წააგეს.

მარსელო ბიელსას სახელობის სტადიონზე გამართული შეხვედრა ძალიან საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა. ორივე გუნდმა ბევრი საგოლე მომენტი შექმნა, თუმცა განსაკუთრებით სახიფათო მასპინძელთა შეტევები იყო. იგნასიო **სკოკომ, მაქსი როდრიგესმა** და **ვიქტორ ფიგეროამ** ბევრი კი იაქტიურეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

მეორე ტაიმში "ველესმა" კონტრშეტევებს მოუხშირა და ერთ-ერთი ასეთი შეტევა გოლითაც დასრულდა. შესანიშნავად გაისარჯა გამოცდილი **ფედერიკო ინსუა**, რომელმაც ბურთი **აგუსტინ ალიონესგან** მიიღო, **რაულ ვილიალბა** მოატყუა და საჯარიმოში მყოფ ალიონეს გადააწოდა, ვინც შესანიშნავი მოძრაობით ორი მეტოქე ჩამოიტოვა და **ნაუელ გუსმანს** აუღებელი დაურტყა.

საბოლოოდ, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა. "ველეს სარსფილდმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ამ წყვილში ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. სხვათაშორის, ამ წაგებამდე, "ნიუელსს" "ველესი" ზედიზედ სამჯერ ჰყავდა დამარცხებული, მათ შორის ორჯერ სტუმრად. საპასუხო შეხვედრა 15 მაისს გაიმართება. ამ წყვილში გამარჯვებული, მეოთხედფინალში "კორინთიანსი"-"ბოკა ხუნიორსის" გამარჯვებულს შეხვდება.

ტატო ბაციკაძე

● ამხანაგური მატჩი

სელესაო ისევ ვერ მოიგო!

ბრაზილია-ჩილე 2:2

გოლები: 0:1 მარკოს გონსალესი (8), 1:1 რევერი (25), 2:1 ნეიმარი (55), 2:2 ე. ვარგასი (64).

ბრაზილია (4-2-2-2): დიეგო კავალიერი – ჟუანი (72. მარკოს როჩა), დედე (46. ენრიკე), რევერი, ანდრე სანტოსი – რალფი (68. ფერნანდო), პაულინიო – ჟადსონი (68. ოსვალდო), რონალდინიო – ნეიმარი, ლეანდრო დამიაო (46. პატო).

გაძევება: ლეალი (89. ჩილე).

ბრაზილიელთა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა

სულ 5 თამაში: 1 მოგება, 3 ფრე და 1 მარცხი - აი, ასეთი შედეგი აქვს **ლუიშ ფელიპე სკოლარის**. დაგვეთანხმებით, საამაყო და მოსაწონი ბევრი არაფერია. "ფელიპაოს" ხელმძღვანელობით, ბრაზილიის ნაკრებმა ის ერთადერთი თამაში აპრილის დასაწყისში, ბოლივიაში მოიგო (0:4). ამჯერად, "სელესაოს" მეტოქე ჩილეს ნაკრები იყო. ორივე გუნდი მხოლოდ ადგილობრივ ჩემპიონატებში მოასპარეზე ფეხბურთლებით იყვნენ დაკომპლექტებული. ჩილეს ნაკრების შემადგენლობის შემოთავაზება საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან გუნდის რიგებში სულ ორი მეტ-ნაკლებად ცნობილი მოთამაშე იყო და ორივემ თავი გატანილი გოლით გამოიჩინა.

ბრაზილია, რა თქმა უნდა, ფავორიტი იყო. "დიდ ფილს" **ფრედი** და **ლუიშ ფაბიანო** არ ჰყავდა, მაგრამ ეს დიდი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო – ძირითადში **ნეიმარს ლეანდრო დამიაო** შეუწყვილდა, რომელიც მეორე ტაიმში **ალეშანდრე პატომ** შეცვალა. ძირითადში იყო **რონალდინიოც**, ვინც საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თამაშობდა, რადგან მატჩი ბელუ ორიზონტში, "ატლეტიკო მინეიროს" საშინაო არენაზე გაიმართა.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ – გოლი "ფლამენგოს" ცენტრალურმა მცველმა, **მარკოს გონსალესმა** გაიტანა, მაგრამ რამდენიმე წუთში, სწორედ მას აჯობა **რევერმა**, როდესაც ნეიმარის კუთხურის შემდეგ, საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო და ანგარიში გაათანაბრდა. "ატლეტიკო მინეიროს" 1,92 მეტრის სიმაღლის მცველმა, ეროვნულ გუნდში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში ბრაზილია ნეიმარმა დააწინაურა – 21 წლის ფორვარდს, საგოლე პასი ცვლილებაზე გამოსულმა ალეშანდრე პატომ გადააწოდა. თუმცა ეს არ იყო ამ საღამოს უკანასკნელი გოლი. შეხვედრის 64-ე წუთზე მცირე შედეგი ვიხილეთ - **ედუარდო ვარგასმა** ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, წინ წაიწია და ასე 30 მეტრიდან დაარტყა. "გრემიოს" ფორვარდის ამ გასროლას ვერაფერი მოუხერხა **დიეგო კავალიერიმ** და ანგარიში გათანაბრდა.

საბოლოოდ, შეხვედრა ასეც დასრულდა, რამაც ბრაზილიელი გულშემატკივარი ძალიან გააბრაზა. საფინალო სასტვენს გამაყრუებელი სტვენა და ობსტრუქცია მოჰყვა.

"არავის მოსწონს, როდესაც უსტვენენ, მაგრამ რას ვიზამთ. როდესაც ბრაზილიის ნაკრებში ვთამაშობ, ყოველი შეხვედრის შემდეგ მლანძღავენ, რაც უკვე ძალიან მომაბეზრებელია. ამ ყველაფერს უნდა შეეჩვიო, რადგან ასეთია ფეხბურთი: ხან დაგისტვენენ, ხან გაგაღმერთებენ," – განაცხადა მატჩის შემდეგ ნეიმარმა.

ბრაზილიის ნაკრებს მომდევნო მატჩი ივნისში ელის, როდესაც კონფედერაციის თასისთვის მომზადების მიზნით, "სელესაო" ჯერ ინგლისს შეხდება, რამდენიმე დღეში კი საფრანგეთს.

ტატო ბაციკაძე

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ატლეტიკო მურიელში 28 მილიონს იხდის

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მადრიდის "ატლეტიკო" მზადაა, "უდინეზეს" 28 მილიონი ევრო გადაუხადოს და საკუთარ გუნდში **ლუის მურიელი** გადაიყვანოს. 22 წლის კოლუმბიელი ფორვარდის შეძენა სხვა რამდენიმე გუნდსაც სურს, მათ შორის არიან "იუვენტუსი", "მილანი" და "ნაპოლი", თუმცა მადრიდში იმედოვნებენ, რომ პერსპექტიული ფეხბურთელი სწორედ მათი საკუთრება გახდება და ის "როხიბლანკოში" თანამემამულე **რადამელ ფალკაოს** შეცვლის.

ლუის მურიელი

ჟურნალისტების ცნობით, "მილანის" სკაუტმა **არიედო ბრაიდამ** იანვარში "უდინეზეს" 10 მილიონი ევრო შესთავაზა, რაზეც უდინელთა პრეზიდენტისგან, **ჯინო პოცოსგან** უარი მიიღო.

ლუის მურიელი "უდინეზეს" 2010 წლიდან ეკუთვნის, თუმცა წინა ორი სეზონი მან განათხოვრებით ჯერ "გრანადაში", შემდეგ კი "ლეჩეში" გაატარა. ამ უკანაკნელში კოლუმბიელმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოც ეს სეზონი უკვე უდინეში დაიწყო და თავი არც იქ შეურცხვენია – მიმდინარე სერია A-ს გათამაშებაში, მურიელმა 17 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

ტატო ბაციკაძე

საფრანგეთი. ლიგა 1

XXXIV ტურის წინ

ლილი-ლოორი 22:30

ბოლო 6 თამაში

+4 =1 - 1 +1 =3 -2

ურთიერთშეხვედრები:

სულ 95 თამ: +37 = 29 - 29 (146-107)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პსჟ	33	20	7	5	60-20	70
2. მარსელი	33	18	7	8	37-32	61
3. ლიონი	33	17	8	8	54-35	59
4. სტ. ეტიენი	33	15	12	6	55-27	57
5. ლილი	33	15	11	7	50-32	56
6. ნიცა	33	15	9	9	48-40	54
7. ლორიანი	33	13	11	9	53-51	50
8. მონპელიე	33	14	6	13	50-43	48
9. ბორდო	33	11	14	8	35-30	47
10. რენი	33	12	6	15	44-49	42
11. ტულუზი	33	10	11	12	40-42	41
12. ვალანსიენი	33	10	10	13	42-48	40
13. ბასტია	33	11	6	16	44-62	39
14. რეიმსი	33	9	10	14	31-38	37
15. აიაჩო	33	8	13	12	35-45	35
16. ევიანი	33	8	10	15	39-49	34
17. ნანსი	33	8	10	15	33-49	34
18. სოშო	33	8	9	16	34-52	33
19. ბრესტი	33	8	5	20	29-51	29
20. ტროა	33	5	13	15	38-56	28

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

ბომბარდირები: 27 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 19 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 15 – ალიადიერი (ლორიანი); 14 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 12 – ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია).

ტატო ბაციკაძე

გერმანია

ბუნდესლიგა

ლეს

ფიურხი-ჰანოვერი 22:30

ტრავმა: შმიდტგალი, შტიბერი, ტირალა, ციონერი - ჯურუ, ფელიპე, ჰანდერი, კ. შულცი, ანდრეასენი, ფრანკა, ჰუსტი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0=0-1, (0:2)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	30	26	3	1	89-14	81
2. დორტმუნდი	30	18	7	5	74-35	61
3. ლევერკუზენი	30	15	8	7	58-38	53
4. შალკე	30	13	7	10	50-46	46
5. ფრაიბურგი	30	12	9	9	40-36	45
6. აინტრახტი	30	13	6	11	43-42	45
7. გლადბახი	30	11	11	8	37-39	44
8. ჰაგზურგი	30	13	5	12	36-46	44
9. მაინცი	30	10	9	11	36-36	39
10. შტუტგარტი	30	11	6	13	33-47	39
11. ჰანოვერი	30	11	5	14	51-55	38
12. ნიურნბერგი	30	9	11	10	33-40	38
13. ვოლფსბურგი	30	9	10	11	38-45	37
14. ვერდერი	30	8	8	14	45-59	32
15. ფორტუნა	30	7	9	14	36-47	30
16. აუგსბურგი	30	6	9	15	27-45	27
17. ჰოფენჰაიმი	30	6	6	18	35-59	24
18. ფიურტი	30	3	9	18	20-52	18

ბომბარდირები: 23 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 21 - კისლინგი (ლევერკუზენი); 15 - მანჯუკიჩი (ბაიერნი); 13 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი).

გოტფრიდ ლენცი

ესპანეთი. ლა ლიგა

ლეს

ვალენსია-ოსასუნა 23:00

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +5=6-5, (18-12)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	32	27	3	2	99-33	84
2. რეალი	32	22	5	5	83-30	71
3. ატლეტიკო	32	21	5	6	57-25	68
4. სოსიედადი	32	15	10	7	57-39	55
5. ვალენსია	32	15	8	9	52-46	53
6. მაუაგა	32	14	8	10	45-37	50
7. ბეტისი	32	14	6	12	48-49	48
8. ვალეკანო	32	14	3	15	41-52	45
9. ხეტაფე	32	12	8	12	39-48	44
10. ესპანიოლი	32	11	10	11	42-42	43
11. სევილია	32	12	6	14	48-46	42
12. ლევანტე	32	11	7	14	35-51	40
13. ვალიადოლიდი	32	10	9	13	41-45	39
14. ბილბაო	32	10	6	16	35-57	36
15. ოსასუნა	32	8	8	16	26-36	32
16. დეპორტივო	32	7	9	16	43-64	30
17. გრანადა	32	7	8	17	28-51	29
18. მალიორკა	32	7	7	18	34-64	28
19. სარაგოსა	31	7	6	18	28-49	27
20. სელტა	31	6	6	19	29-46	24

ინტერი

5 ახალი ფეხბურთელი ინტერში?

მათ შორის, იკარდი და კამპანიარო

მაურო იკარდის საბაზრო ღირებულება 15 მილიონი ევროა

ერთობ მოულოდნელი განცხადება გააკეთა "ინტერის" გენერალურმა მდივანმა **მარკო ფასონემ**, რომლის მიხედვითაც, მომდევნო სეზონიდან მილანურ გრანდს ხუთი ახალი ფეხბურთელი შეუერთდება... რაც მთავარია, ფასონემ ამ ხუთი ფეხბურთელის გვარი დაასახელა – მაშ ასე: 32 წლის **უგო კამპანიარო** "ნაპოლიდან", 20 წლის **მაურო იკარდი** "სამპდორიადან", 26 წლის **მარკო ანდრეოლი** "კიევოდან", 23 წლის **რუბენ ბოტა** არგენტინული "ტიგრედან" და 20 წლის **დიეგო ლაკსალტი** ურუგვაული "დეფენსორ სპორტინგიდან". მოკლედ, "ინტერში" სამხრეთამერიკული დესანტი კიდევ უფრო იზრდება, რადგან ხუთი ახალწვეულიდან 3 არგენტინელია, ერთი ურუგვაელი და მხოლოდ ერთი იტალიელი.

რუბენ ბოტა და დიეგო ლაკსალტი თავ-თავიანთ ქვეყნებში გამორჩეული მოთამაშეები არიან – პირველი ნახევარმცველია და უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა, ხოლო მეორეს მეტწილად გარემარბის პოზიციაზე უწევს თამაში... რაც შეეხება დანარჩენ სამ ფეხბურთელს, კალჩოს მოყვარულებისთვის მათი წარდგენა სრულიად ზედმეტი იქნება... უგო კამპანიარო რომ "ინტერში" ეშურებოდა, ეს ჯერ კიდევ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გავიგეთ და მაშინვე ითქვა, რომ გარიგება დიდი ალბათობით ზაფხულში შედგებოდა, აი მაურო იკარდის ამბავმა კი იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი ხმაური გამოიწვია. ამ თემაზე თავად ფორვარდმა კომენტარის გაკეთება არ მოისურვა, ფასონემ კი შემდეგი განაცხადა:

"იკარდის გუნდის გამოცვლა სურდა და არც "ინტერის" მიმართ დაუმალავს სიმპათია. შესაბამისად, მოლაპარაკება მალევე დასრულდა წარმატებით და ხელშეკრულების გაფორმებასაც არაფერი უდგას წინ. მაურო ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თავდამსხმელია, ვინც კი ოდესმე მინახავს და დარწმუნებული ვარ, "ინტერს" გვარიანად გააძლიერებს. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ მოთამაშეს, მათზეც მალევე მივაღწიეთ შეთანხმებებს და საბედნიეროდ, ზაფხულში ჩვენი გუნდის ფეხბურთელები გახდებიან. დღეს არ გვაქვს იმის საშუალება, რომ მოთამაშეში კოლოსალური თანხა გადავიხადოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, გუნდის გაძლიერებას ვახერხებთ. ხუთი ძალიან საინტერესო მოთამაშე დავიმატეთ, რომლებიც მნიშვნელოვნად გაგვაძლიერებენ".

ტრანსფერები ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა და ვერც დადასტურდება, რადგან ხელშეკრულებები არ გაფორმებულა – ისე კი, შეთანხმებები რომ შემდგარია, პრესაში ამას დაჟინებით ამტკიცებენ. ითქვა ისიც, რომ უგო კამპანიარო და მარკო ანდრეოლი "ინტერში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავლენ, სამხრეთ ამერიკიდან ჩასასვლელ ფეხბურთელებში კი მილანური გრანდი დაახლოებით 10 მილიონ ევროს გადაიხდის. რაც შეეხება მაურო იკარდის, მისი სატრანსფერო ფასი 15 მილიონი ევროა და როგორც ჩანს, მილანელები ამ თანხის გადახდას დაჰყაბულდნენ. ერთი სიტყვით, ხუთი ახალი ფეხბურთელი "ნერაძურის" მთლიანობაში 25 მილიონი ევრო დაუჯდება, რაც ბევრი ნამდვილად არაა. თუმცა, ბევრია თუ ცოტა, ამას მომდევნო სეზონში თავად ფეხბურთელები დაგვანახვებენ. თუ რა თქმა უნდა, ტრანსფერები დადასტურდება, რადგან გუშინ გვიან ღამით, ფასონემ განმარტებები გააკეთა და განაცხადა, რომ ჯერ საქმე ბოლომდეა მისაყვანი – ჟურნალისტებს კი ნაადრევი დასკვნების გაკეთებისგან თავის შეკავება ურჩია.

ბულშემატკივარი

ინტერს მთავარი ტიფოზი დააკლდა

ევროპის უხუცესი ქალბატონი გარდაიცვალა

თურმე, ევროპის ყველაზე ასაკოვანი ქალბატონი "ინტერის" თავგადაკლული ქომაგი ყოფილა და ამის შესახებ, არაფერი ვიცოდით... დიახ, ყოფილა, რადგან **მარია რადაელი** ორიოდე დღის წინ, 114 წლისა გარდაიცვალა. ამის შესახებ მილანური გრანდის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, სამძიმრის წერილი კი უამრავმა "ინტერისტამ" გაავრცელა. ღრმა მწუხარება გამოხატა "ნერაძურის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** და დასძინა, რომ ყველა სიკეთესთან ერთად, რაშიც "ინტერის" გულშემატკივრობა იგულისხმება, მარია საოცრად კარგი ადამიანი გახლდათ.

მარია რადაელი 1899 წელს დაიბადა, თვით "ინტერის" დაარსებამდე 9 წლით ადრე – გარდაცვალებამდე, მან ერთ-ერთ სპორტულ გაზეთს ინტერვიუ მისცა და აღნიშნა, რომ გუშინდელ დღესავით ახსოვდა "ინტერის" დაბადება და ამ გუნდის პირველი მატჩები. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმა ქალბატონმა თავის თავში ამხელა ისტორიის მქონე კლუბი დაიტია და მისი დაარსებიდან, გუშინდელ დღემდე, აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში უგულშემატკივრა. ბოლოს, მასიმო მორატის მოვუსმინოთ:

"ამ ქალთან საუბარი ერთი სიამოვნება იყო და ძალიან სანყენია, რომ ამის საშუალება აღარასდროს მომეცემა. მას დეტალებში შეეძლო გაეხსენებინა "ინტერის" მიერ XX საუკუნის დასაწყისში ჩატარებული მატჩები. ჩვენმა გუნდმა ამ საოცარ ქალბატონთან ერთად მოიგო უამრავი ტროფეი: სკუდეტოები, თასები, ევროტურნირები და მათ შორის, ჩემპიონთა თასისა და ლიგის გათამაშებები. წარმოიდგინეთ, მას ახსოვდა ყველა ის ლეგენდარული ფეხბურთელი, ვისაც კი "ინტერში" ოდესმე უთამაშია. მარია რადაელისთვის "ინტერის" მუზეუმში ცალკე კუთხე გაკეთდება".

ლაშა ნიკლაური

მარია რადაელი დაბადების დღეს ტრადიციულად ასე აღნიშნავდა

პესკარა

მარკო ვერატიმ და ლორენცო ინსინიემ "პესკარა" სერია A-ში გადაიყვანეს

დელფინები ვერატის და ინსინიეს მისტირიან

ყველაფერი აგენტების ბრალია...

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, "პესკარა" უკანასკნელ ადგილზეა და ფაქტობრივად განწირულია სერია B-ში გასავარდნად. "დელფინებს" ბევრი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი გამოდგა – ეს დიდწილად ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გუნდის შესუსტებამ გამოიწვია... "პესკარა" ორმა ლიდერმა: **მარკო ვერატიმ** და **ლორენცო ინსინიემ** დატოვეს. პირველი ნახევარდაცვაში შეუცვლელი იყო, მეორეს კი გოლები გაჰქონდა. "გაძეტა დელო სპორტს" "პესკარას" აღმასრულებელი დირექტორი **დანილო იანასკოლი** გაესაუბრა და საინტერესო ამბები გაამხილა:

"სერია A-ში გადასვლა მთელმა ქალაქმა იზეიმა და მაშინ, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ახალი სეზონი ასე წარუმატებლად წარიმართებოდა. სამწუხაროდ, ზაფხულში არათუ გავაძლიერეთ გუნდი, დავასუსტეთ და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ჩვენს ფეხბურთელებზე ტაციაობა ატყდა და მათი შეჩერება ვეღარ მოვახერხეთ. ამ პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ფეხბურთელთა აგენტებმა, რომლებიც ყველაფერს ფინანსური გადასახედიდან უყურებენ. მაგალითად, თითქმის შეთანხმებული ვიყავით "ნაპოლისთან" მარკო ვერატის ტრანსფერთან დაკავშირებით, მაგრამ გარიგება ჩაიშალა. შეთანხმების თანახმად, ვერატი ნეაპოლელებთან გააფორმებდა ხელშეკრულებას და კიდევ ერთი წელი, იჯარით ჩვენთან ითამაშებდა. სამხრეთელებს იმდენად უნდოდათ მარკოს გადაბირება, რომ მზად იყვნენ, კიდევ ერთი წელი ლორენცო ინსინიეც დაეტოვებინათ ჩვენთვის და იჯარით, კიდევ ერთი მოთამაშე, მარიო სანტანა გამოეშვათ. მოკლედ, ნეაპოლელები ძალიან ხელსაყრელ წინადადებას გვთავაზობდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ვერატის ნაყვანა პსჟ-ს სურდა. თავად მარკოს "ნაპოლის" ვარიანტი ძალიან მოსწონდა, მაგრამ ბოლოს, აგენტებმა აურიეს ტვინი. საბოლოოდ, ვერატიმ პსჟ აირჩია, გაბრაზებულმა ნეაპოლელებმა კი აღარც ინსინიე დაგვიტოვეს, რომელიც ჩვენთან იჯარით თამაშობდა და აღარც სანტანა გამოუშვეს. ვფიქრობ, "ნაპოლისთან" რომ გარიგება შემდგარიყო, სერია A-ში აუცილებლად შევინარჩუნებდით ადგილს".

იუვენტუსი

რა დროს სკუდეტოა...

წინ ტურინული დერბია

კვადვო ასამოა მხოლოდ "ტორინოსთან" დაპირისპირებაზე ფიქრობს

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი, ლიდერი "იუვენტუსი" კი უახლოეს მდევარ "ნაპოლის" მთელი 11 ქულით უსწრებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მომდევნო ტურში ნეაპოლელები ქულებს დაკარგავენ, ხოლო "ბებერი ქალბატონი" ტურინულ დერბიში "ტორინოს" დაამარცხებს, სკუდეტოს ოფიციალურად გაიფორმებს. მოკლედ, ტურინის შავ-თეთრი ნაწილი საჩემპიონო სამზადისშია და დიდია შანსი, ეს ამბავი დერბიში, ისტორიულ მეტოქესთან გამარჯვებას მოჰყვეს. "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი" ამ თემაზე "იუვეს" მთავარ მწვრთნელ **ანტონიო კონტესა** და ნახევარმცველ **კვადვო ასამოას** გაესაუბრა...

ანტონიო კონტე: *"სკუდეტო ახლოა და ამას არავინ უარყოფს, მაგრამ რომ გითხრათ ზეიმისთვის ვემზადებით, ნამდვილად მოგატყუებთ. დღეს, ჩვენი ფიქრები ტურინულ დერბის დასტრიალებს და ჩვენი უმთავრესი მიზანიც კონკრეტულად ამ პაექრობის მოგებაა. თანაც, არა მგონია, ნეაპოლელებმა ქულები დაკარგონ, რადგან მათ თითქმის უმოტივაციო "პესკარასთან" უწევთ დაპირისპირება. მოკლედ, ჩვენ მხოლოდ "ტორინოსთან" მატჩზე ვართ კონცენტრირებული, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

კვადვო ასამოა: *"ქალაქში განსხვავებული ატმოსფეროა, მაგრამ არა იმიტომ, რომ სკუდეტოს მოგებასთან ახლოს ვართ, უბრალოდ წინ ტურინული დერბია. ყველა ამ თამაშზე ლაპარაკობს და ეს საბრძოლო განწყობას გვმატებს. ვეცდებით გავიმარჯვოთ და კიდევ ერთხელ გავახაროთ ჩვენი ქომაგები. "ტორინო" ძლიერი გუნდია და ეს "ფიორენტინასთან" შეხვედრაშიც დაამტკიცა. ფლორენციულმა მატჩმა ნათლად დაგვანახვა, რომ "გრანატასთან" მოდუნება ერთი წუთითაც არ შეიძლება".*

ფიორენტინა

დელა ვალე: ზაფხულში გავძლიერდებით

მიმდინარე სეზონში, "ფიორენტინა" შესანიშნავად ასპარეზობს და ბევრისთვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. **ვინჩენცო მონტელას** გუნდი "მილანს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და ბუნებრივია, სამეულში შეძრომის საკმაოდ კარგი შანსებიც აქვს. კლუბის პრეზიდენტმა **ანდრეა დელა ვალემ** პრესასთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გუნდი გაძლიერდება განურჩევლად იმისა, მოიპოვებს თუ არა ჩემპიონთა ლიგის საგზურს:

"დიდი იმედი მაქვს, რომ "მილანს" ჩამოვიტოვებთ და საბოლოოდ, ჩემპიონთა ლიგის საგზური ჩვენ დაგვრჩება. თუმცა, რაც უნდა მოხდეს, ზაფხულში შემადგენლობის გაძლიერებას ვაპირებთ და ახალწვეულთა შერჩევას აქედანვე ვცდილობთ. გვარებს ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ რამდენიმე მაღალი კლასის მოთამაშეს რომ გადავიბირებთ, წყალი არ გაუვა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენი მიზნები ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაზე არაა დამოკიდებული და გადახედვას არ ექვემდებარება".

გვერდი მოამზადა

ლაშა ნიკლაურმა

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია აპრილის ნომერი!

ბარსელონა

ბარსას კოლაფსის 10 მიზეზი

ესპანურმა გაზეთმა "მარკამ", "ბარსელონას" მიუნხენში განადგურების 10 მიზეზი ჩამოთვალა

1. შემადგენლობის ცუდი როტაცია

ფეხბურთელები აშკარად გადაღლილები არიან. მოთამაშეთა უმეტესობა სეზონის გადამწყვეტ ეტაპს გამოფიტული შეხვდა, რაც ცუდი როტაციის ბრალია.

2. ტიტო ვილანოვა სათადარიგოებს არ ენდობა

ვილანოვამ "ბაიერნთან" მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელა, ისიც 83-ე წუთზე, როდესაც გუნდი 0:4-ს აგებდა.

3. სამწვრთნელო შტაბის უმოქმედობა

როდესაც გუნდის საქმეები ცუდად მიდის, სამწვრთნელო შტაბი დროულად და ეფექტურად ვერ რეაგირებს.

4. ცუდი სატრანსფერო კამპანია და გამოუყენებელი ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა

ალექს სონგმა იმედები ვერ გაამართლა, გარდა ამისა, კატალონიელებს ზამთარში არავინ შეუძენიათ.

5. თუ მესი არ ან ვერ თამაშობს, გუნდს "ბ" გეგმა არ აქვს.

ბევრი ადამიანის აზრით, გუნდი მთლიანად **ლიონელ მესიზეა** დამოკიდებული და თუ არგენტინელი კარგად ვერ თამაშობს, ეს "ბარსელონაზეც" მკვეთრად აისახება.

6. არაფერი გაკეთებულა შარშანდელი სეზონის მიმდინარეობისას არსებული პროგლემების მოსაგვარებლად.

დირექტორატმა და სამწვრთნელო შტაბმა გადაწყვიტეს, რომ წელსაც იმავე ფეხბურთელებს მინდობოდა. **პეპ გვარდიოლამ**, წასვლის წინ, რამდენიმე პრობლემაზე ისაუბრა, რომლის მოგვარებაც აუცილებელი იყო, მაგრამ ხელმძღვანელებმა სხვა გადაწყვეტილება მიიღეს.

7. ტრავმები და ავადმყოფობა

გუნდს პრობლემები ტრავმებმაც შეუქმნა. **ხავიერ მასკერანოს** და **კარლეს პუიოლის** ხანგრძლივი ვადით გამოკლება გუნდისთვის დიდი დარტყმა იყო. **ადრიანო, ალექსის სანჩესი, სესკ ფაბრეგასი** – სეზონის გარკვეულ ეტაპზე, სერიოზული დაზიანებები ამ ფეხბურთელებმაც მიიღეს.

ასევე, არ უნდა დაგვავიწყეს **ერიკ აბიდალის** და **ტიტო ვილანოვას** პრობლემები.

8. პროგლემები ფიზიკური მომზადების მხრივ

იმის გამო, რომ გუნდი ფიზიკური მომზადების მხრივ მოიკოჭლებს, ვერ ხერხდება დაცვაში არსებული საკადრო დეფიციტის კომპენსირება. ეს ყველაფერი ევროთასებზე, ძლიერ გუნდებთან შეხვედრებში კარგად გამოჩნდა.

9. თამაშის სტილის ცვლილება

"ბარსელონას" სათამაშო სტილის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტი პრესინგი იყო. ბურთის დაკარგვის მომენტში, კატალონიელები მეტოქეს მის ნახევარზე ისეთ წნეხში აგდებდნენ, რომ ეს უკანასკნელი ხშირად ბურთს უმალვე კარგავდა. დღევანდელი "ბარსელონა" გაცილებით პასიურია.

10. ვიქტორ ვალდესის მომავალი

ვიქტორ ვალდესმა განაცხადა, რომ 2014 წელს გუნდიდან წავიდოდა. ამ განცხადებამ გუნდში გარკვეული პრობლემები გამოიწვია.

ბარსელონას სუნთქვის საშუალება მოუსპეს

გერმანიაში მოთამაშე ესპანელი ფეხბურთელები – **დანიელ კარვახალი, ალვარო დომინგესი, მანუელ ტორესი** და **ხუანანი,** კიოლნში, "ანდალუს ბარში" შეიკრიბნენ და "ბაიერნი"-"ბარსელონას" დაპირისპირებას თვალი ერთად მიადევნეს.

"ასეთ შედეგს არავინ ელოდა, - განაცხადა **ალვარო დომინგესმა,** - *ისინი ფიზიკურად გაცილებით კარგად იყვნენ მომზადებულნი და ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს იყო,"* – დაამატა მადრიდის "ატლეტიკოს" ყოფილმა მცველმა, რომელიც ამჟამად მიონხენგლადბახის "ბორუსიას" ღირსებას იცავს.

"ასე ცოტა საგოლე შანსის შექმნა "ბარსელონასთვის" ნორმალური არაა. ჩემი აზრით, შედეგი სამართლიანი არ იყო, რადგან მსაჯმა ბევრი შეცდომა დაუშვა, თუმცა "ბაიერნმა" მოგება ნამდვილად დაიმსახურა," – ეს უკვე დიუსელდორფის "ფორტუნას" მცველის, **ხუანანის** სიტყვებია.

გერმანელთა მაღალ საშემსრულებლო ოსტატობაზე ისაუბრა "შალკეს" ახალგაზრდა ნახევარმცველმა **მანუელ ტორესმა**: *"რიბერი, რობენი და შვაინშტაიგერი საოცრად კარგად თამაშობდნენ. მათი ასეთი კარგი თამაში ამ სეზონში ჯერ არ მინახავს. ყველანი შესანიშნავად გაისარჯნენ".*

"ისინი ვერ თამაშობდნენ. "ბარსელონას" სუნთქვის საშუალება მოუსპეს. შესაძლოა, ევროპულ ფეხბურთში დომინანტი ძალის ცვლილებას შევესწარით," – განაცხადა ტორესმა.

ევროპა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები

ჩელსი თითქმის ფინალშია

ბენფიკამ 38-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა

ფენერბაჰჩე-ბენფიკა 1:0

გოლი: 1:0 ე. ქორქმაზი (72)

ფენერბაჰჩე (4-2-3-1): ვოლქან დემირელი – გ. გიონული, იობი, ე. ქორქმაზი, რეტო ციგლერი – რაულ მეირელეში (64. ს. უჯანი), მეჰმეთ თოფალი – კუიტი, კრისტიან ბარონი (86. ს. შაჰინი), სოუ (87. კრასიჩი) – ვებო.

ბენფიკა (4-3-3): არტური – მაქსი პერეირა, ჟარდელი, გარაი, მელგარეხო – ანდრე გომეში (81. კარლოს მარტინში), მატიჩი, აიმარი (46. გაიტანი) – ჯონი (64. როდრიგო), სალვიო, კარდოსო.

გამოუყენებელი პენალტი: კრისტიან ბარონი (45. ფენერბაჰჩე)

გაფრთხილება: კრისტიან ბარონი, მეჰმეთ თოფალი, ვებო – ანდრე გომეში, აიმარი, მაქსი პერეირა, ჯონი.

კუთხური: 8-4; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 6-4 (3-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

ბაზელი-ჩელსი 1:2

გოლები: 0:1 მოზესი (12), 1:1 შერი (87-პენ), 1:2 დავიდ ლუისი (90+4)

ბაზელი (4-3-2-1): ზომერი – ფ. დეგენი, შერი, დრაგოვიჩი, იუ ჰო პარკი – მოჰამედ ელ ნენი (65. ზუა), ფ. ფრაი, სერეი დიე (61. მ. დიასი) – მოჰამედ სალაჰი (78. დ. დეგენი), შტოკერი – შტრელერი.

ჩელსი (4-3-2-1): ჩეხი – ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული – დავიდ ლუისი, რამირესი, ლამპარდი (79. ოსკარი) – აზარი (71. მატა), მოზესი – ტორესი.

გაფრთხილება: დრაგოვიჩი, დ. დეგენი, შერი – ე. კოული, დავიდ ლუისი.

კუთხური: 8-8; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-16 (4-6); **ბურთის ფლობა:** 62%-38%;

ლონდონის "ჩელსიმ" ფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა, რაშიც **დავიდ ლუისი** დაეხმარა. ბრაზილიელი ცენტრალური მცველი, რომელიც ამჯერადაც ნახევარდაცვის ცენტრში მოქმედებდა, "სენტ იაკობს პარკზე" გამართული მატჩის გმირი გახდა. შეხვედრის 94-ე წუთზე, როდესაც ანგარიში თანაბარი იყო, მასპინძლების კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა. ბურთთან დავიდ ლუისი მივიდა და **იან ზომერს** ახლო კუთხეში გაუტანა. მართალია, "ბაზელი" ინგლისური გუნდების "მკვლელად" ჩამოყალიბდა, მაგრამ შვეიცარიელებს ამჯერად არ გაუმართლათ. "ჩელსი" პრაქტიკულად ფინალშია და თუ ამსტერდამშიც იმარჯვა, მართლაც უნიკალური მიღწევის ავტორი იქნება – რამდენიმე დღის განმავლობაში, "არისტოკრატები" ერთდროულად ჩემპიონთა ლიგის და ევროპა ლიგის გამარჯვებულნი იქნებიან.

საოცარი, 38-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა "ბენფიკამ", რომელიც სტამბულში "ფენერბაჰჩესთან" დამარცხდა. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თანაბარი გამოდგა, მაგრამ გამარჯვება მასპინძლებმა მოახერხეს. ანგარიშის გახსნა თურქებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ – 45-ე წუთზე ლისაბონელთა კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც "ფენერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა, **კრისტიან ბარონმ** ვერ გამოიყენა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი თურქთა მცველმა, **ეგემენ ქორქმაზმა** გაიტანა. ბევრი მცდელობის მიუხედავად, **ჟორჟე ჟესუსის** გუნდმა წაგებას თავი ვერ დააღწია, არადა, აქამდე "ბენფიკას" 23 ოქტომბერს, მოსკოვის "სპარტაკთან" წაეგო.

ამ წყვილში გადაწყვეტილი, რა თქმა უნდა, არაფერია. ყველაფერი ერთ კვირაში, "და ლუშზე" გაირკვევა.



ჩელსიმ დავიდ ლუისის გოლით მოიგო

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

N 1 საავტომობილო
ჟურნალი მსოფლიოში

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. დორტმუნდი-რეალი

გერმანელებმა მოდიან, ხალხნო!

წინ კი პოლონელი მოუძღვებათ...

ასე მხოლოდ გერმანელებმა იციან... უფრო სწორად, არ იციან... დანდობა! „ბაიერნის“ შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის ფინალის კარი დორტმუნდის „ბორუსიამაც“ ფართოდ შეაღო და ცალი ფეხი შედგა. რომ არა მატს ჰუმელსის ფეხი, დავწერდით, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გერმანიამ ესპანეთი 8:0 გაანადგურა, ახლა კი 8:1-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ „რეალი“ უშანსოდ მაინც არაა.

რობერტ ლევანდოვსკიმ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალების ისტორიაში პირველი პოკერი შეასრულა და ჩემპიონთა ლიგაში „რეალის“ კარში ოთხი გოლი მანამდე არავის გაეტანა. ჰორიზონტზე კი პირველი გერმანული ფინალი გამოჩნდა...

დორტმუნდი-რეალი 4:1

გოლები: 1:0 ლევანდოვსკი (8), 1:1 კ. რონალდო (43), 2:1 ლევანდოვსკი (50), 3:1 ლევანდოვსკი (55), 4:1 ლევანდოვსკი (67-პენ)

დორტმუნდი (4-2-3-1): ვაიდენფელერი - პიშჩეკი (83. გროსკროიტცი), სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი (90. შიბერი), ს. ბენდერი - ბლაშჩიკოვსკი (82. კელი), მ. გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

რეალი (4-2-3-1): დიეგო ლოპესი - სერხიო რამოსი, ვარანი, პეპე, ფაბიო კოენტრაო - ჩაბი ალონსო (80. კაკა), ხედირა - იოზილი, მადრიჩი (68. დი მარია), კ. რონალდო - იგუაინი (68. ბენზემა).

გაფრთხილება: ლევანდოვსკი - ხედირა, იოზილი, სერხიო რამოსი

მაყურებელი: 65 829

რეაქციები

იურგენ კლოპი („დორტმუნდის“ მთავარი მწვრთნელი): *„სასწაული საღამო გამოვიდა. ეს იყო ტოტალური და ბრუტალური ფეხბურთი. ჩვენი შეჩერება დღეს უბრალოდ შეუძლებელი გახლდათ. „ლევი“ კი ისეთი გოლები გაიტანა, არ მჯერა, ეს გოლები ცხადში რომ ვნახე. მესამე გოლი კი სულაც ისეთი იყო, რომლის მსგავსი სიზმარშიც არ მინახავს. მინდა ჩვენი გულშემატკივრები შევაქო იმის გამო, რომ მარიო გიოტცეს ობსტრუქცია არ მოუწყვეს. ყველა ქომაგი იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ მარიომ „ბაიერნში“ გადასვლა გადაწყვიტა - ის ხომ დორტმუნდელი ბიჭია. მაგრამ ფანებმა დღეს გიოტცეს მხოლოდ ფეხბურთზე კონცენტრირების საშუალება მისცეს და მანაც კარგად ითამაშა. რაც შეეხება ჩვენს პერსპექტივას: მიმაჩნია, რომ ფინალთან ახლა უფრო ახლოს ვართ, ფინალზე ფიქრი კი ჯერ ძალიან ადრეა. რონალდოს გოლის გამო მადრიდში მძიმე ბრძოლა გველის. მოკლედ, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ცალი ფეხით ფინალში ვართ.“*

ილქაი გიუნდოგანი (დორტმუნდი): *„ეიფორიაში ვართ! დაუჯერებელია, როგორ წარიმართა მთელი შეხვედრა, როგორ გვიჭერდნენ მხარს გულშემატკივრები და როგორ იბრძოლა მთელმა გუნდმა. 4:1 ისეთი ანგარიშია, რომელიც ფინალში გასვლის შესანიშნავ შანსს გვაძლევს.“*

რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი): *„მითხრეს, რომ პრესაში დაიწერა, ლევანდოვსკიმ „დორტმუნდიდან“ წასვლა გადაწყვიტაო. ამაზე კონკრეტული კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. ახლა მხოლოდ იმაზე ვარ კონცენტრირებული, რაც მოედანზე მოხდა და მომდევნო მატჩში უნდა მოხდეს. იმედია, რომ ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ორი მატჩი დაგვრჩა ჩასატარებელი, სხვა დანარჩენზე კი მერე ვილაპარაკოთ.“*

მატს ჰუმელსი (დორტმუნდი): *„ჩემ გარდა ყველამ კარგად ითამაშა. შესანიშნავი ფეხბურთი ვაჩვენეთ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მადრიდში ურთულესი შეხვედრა გველის.“*

ჯოზე მოურინიო („რეალის“ მთავარი მწვრთნელი): *„დღეს ვნახე, როგორ აჯობა ერთმა გუნდმა მეორეს. ვნახე, რომ ერთი გუნდი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უკეთესი და უფრო აგრესიულიც იყო. მე დღეს ვნახე საფეხბურთო მატჩი, რომელიც უკეთესმა გუნდმა დამსახურებულად მოიგო. არ ვიცი, რა მოხდა მეორე ტაიმში, ფაქტი კი ისაა, რომ სამივე გოლი ინდივიდუალური შეცდომების გამო მივიღეთ. ფინალში გასვლის იმედი ჯერ კიდევ მაქვს, მაგრამ ამისათვის სრულყოფილი ფეხბურთის თამაშია საჭირო.“*

შემადგენლობები

მატჩის წინადღეს ცნობილი გახდა, რომ **მარიო გიოტცე** მომავალი სეზონიდან მიუნხენის „ბაიერნში“ ითამაშებს, რის გამოც მთელი საფეხბურთო გერმანია ელოდა, რომ „ბორუსიას“ ფანები „გიოტცინიოს“ შავ დღეს დააყრიდნენ, მაგრამ მატჩის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე **იურგენ კლოპმა** „დორტმუნდის“ ყველა ფანს სთხოვა, გიოტცესთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ და მისთვის ფეხბურთის თამაშის საშუალება მიეცათ. ასეც მოხდა: გიოტცეს გვარის გამოცხადებისას სტადიონზე სტვენა მხოლოდ აქა იქ გაისმა.

კლოპს ძირითად შემადგენლობაში სიურპრიზები არ შემოუთავაზებია: დაცვის ცენტრი **ჰუმელსმა** და **სუბოტიჩმა** გაამაგრეს, ნახევარდაცვისა კი - **გიუნდოგანმა** და **ბენდერმა**.

„რეალის“ სასტარტოში **დი მარია მოდრიჩმა** შეცვალა. ანხელის სკამზე დატოვების მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ქალიშვილის დაბადების გამო დი მარია დორტმუნდში ოთხშაბათს ჩავიდა. დისკვალიფიცირებული **არბელოა** დაცვის მარჯვენა ფლანგზე **სერხიო რამოსმა** შეცვალა, ცენტრში **ვარანს პეპე** შეუწყვილდა, ხოლო მარცხნივ **კოენტრაო** ვიხილეთ (**მარსელო** ტრავმირებულია).

გმირი

რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი)

პოლონელი „საგოლე მანქანა“ დაუჯერებლად ზღაპრულ სეზონს ატარებს. ლევანდოვსკიმ ბუნდესლიგაში ზედიზედ 12 შეხვედრაში გაიტანა, „რეალთან“ (ხაზს ვუსვამთ, „რეალთან“!) შესრულებული პოკერით კი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა 10-მდე გაზარდა. რობერტს განსაკუთრებით ეფექტური მესამე გოლი გამოუვიდა - პოლონელი გოლეადორი ოთხშაბათს საუკეთესო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა თამაშობდეს ცენტრალური თავდამსხმელი.

ანტიგმირი

პეპე (რეალი)

ჯოზე მოურინიოს ერთ-ერთმა უსაყვარლესმა მცველმა კარიერის ერთ-ერთი ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა. **პეპემ** პირველ ტაიმში შვიდი (!) არაზუსტი პასი გააკეთა, ზოგადად კი ლევანდოვსკის აბსოლუტურად ვერაფერი მოუხერხა.

მსაჯი

ბირონ კუიპერსი თამაშს აკონტროლებდა და სადავეები არ გაჰქცევია, მაგრამ რამდენიმე ორთაბრძოლა ზედმეტად მგრძნობიარედ შეაფასა. სნორი იყო ის გადაწყვეტილება, როცა **როისისა** და ვარანის ორთაბრძოლის შემდეგ „რეალის“ კარში პენალტი არ დანიშნა. ლევანდოვსკის მეორე გოლის დროს მადრიდელებმა პროტესტი კი გამოთქვეს, მაგრამ გამეორებაზე გამოჩნდა, რომ პოლონელი თამაშგარე მდგომარეობაში არ იყო - ის და პეპე ერთ ხაზზე იდგნენ.

მწვრთნელები

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის წინ მოურინიომ კლოპზე ცინიკურად ისაუბრა, ძალიან ბევრს ლაპარაკობსო, ჯოზე და იურგენი თამაშის დაწყებამდე ერთმანეთს თბილად გადეხვივნენ და ერთი შეხედვით მეგობრული მისალმება გამოუვიდათ.

შეიძლება ითქვას, რომ მოურინიომ ცვლილებები ოდნავ დააგვიანა, 1:3-ზე კი ერთბაშად ორი ცვლილება განახორციელა. თუმცა ამ ცვლილებებმა „რეალს“ ზუსტად ისე არ მოუტანა არაფერი, როგორც მოგვიანებით **კაკას** შეყვანამ. კლოპი, როგორც ყოველთვის, თამაშს 90 წუთის მანძილზე ემოციურად ხელმძღვანელობდა. საინტერესოა ის, რომ იურგენმა ექსრეალელი ნური შაჰინი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დატოვა, მოედანზე კი **სებასტიან კელი** შეუშვა.

რაც თვალში მოგვხვდა

- „რეალმა“ თამაში მომლოდინე სტრატეგიით დაიწყო და უმეტესად თავის ნახევარზე ხვდებოდა მეტოქეს. როდესაც ბურთს დორტმუნდელები ფლობდნენ, მოურინიოს გუნდი თავს 4-1-4-1 ტაქტიკური სქემით იცავდა - დაცვის წინ კი ყველაზე ახლოს **ჩაბი ალონსო** გახლდათ. **იგუაინი** ხანდახან პრესინგს კი მიმართავდა, მაგრამ ეს უფრო თავის „სამართლებელ პრესინგს“ ჰგავდა, დანარჩენი მადრიდელები კი დორტმუნდელთა შეცდომებს ელოდებოდნენ.

- დორტმუნდელები გაცილებით მეტი მონდომებითა და თავგანწირვით იბრძოდნენ. აღსანიშნავია, რომ „ბორუსია“ უკანმოუხედავ შეტევებზე არ წასულა - კლოპის ბიჭები მიზანმიმართულად და აზრიანად მოქმედებდნენ.

- „რეალის“ უკანახაზელებს ყველაზე მეტად მარკო როისის შეჩერება უჭირდათ. ამ უკანასკნელმა 2-3 ზღაპრული სოლორეიდი განახორციელა.

- „რეალმა“ წინა ხაზზე ძალიან ცოტა სახეირო რამ გააკეთა. რონალდოს **პიშჩეკი** და „კუბა“ კარგად მეურვეობდნენ. ეს უკანასკნელი ხშირად ცენტრშიც შედიოდა, სადაც ბენდერსა და გიუნდოგანს ეხმარებოდა.

- სხვა დროს „რეალის“ შეტევების პირველმა წამომწყებმა **ჩაბი ალონსომ** მატჩის დებიუტში სამი არაზუსტი პასი გააკეთა. **იოზილმა, მოდრიჩმა** და იგუაინმა ვერაფერი გააწყვეს.

- „რეალის“ გოლი „დორტმუნდისთვის“ უბედურ შემთხვევად უნდა შევრაცხოთ და „ბორუსიას“ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ გოლს თამაშზე გავლენა არ მოუხდენია. მეორე ტაიმში კლოპის ბიჭებს ნერვიულობა ოდნავადაც არ დაეტყოთ და მეხუთე გოლის გატანაც შეეძლოთ. მოედნის ცენტრში გიუნდოგანი და ბენდერი დომინირებდნენ, წინ კი გიოტცე, როისი და ლევანდოვსკი **რამოსს**, პეპეს და კომპანიას კატათაგვობანას ეთამაშებოდნენ.

- „რეალი“ ოთხშაბათს უიდეო და თითქოს უმოტივაციო გუნდიც იყო. გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საუკეთესო მადრიდელი მეკარე **დიეგო ლოპესი** გახლდათ. ერთი სიტყვით, მოურინიოს გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა.

დასკვნა

მიუხედავად გიოტცეს ტრანსფერის განცხადებით გამოწვეული განგაშისა, დორტმუნდის „ბორუსიამ“ ისტორიულად იდეალური მატჩი ჩაატარა და მოიპოვა გამარჯვება, რომელიც დორტმუნდში იმ შემთხვევაშიც კი არ დავიწყდებათ, თუ „რეალი“ საპასუხო მატჩში სასწაულს მოახდენს. მაგრამ ოთხშაბათს „რეალი“ იმდენად სუსტი იყო, რომ...

გოტფრიდ ლენცი

ძიუდო. ევროპის პირველობა

ოქროს დუბლი



ამირან პაპინაშვილი (თეთრი) პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი

ბრწყინვალედ ჩაება უნგრეთში გუშინ დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები, რომელმაც სტარტზე 100%-იანი შედეგი აჩვენა - ორივე ქართველმა ოქრო მოიპოვა. ასეთი დასაწყისი ამ ტურნირის ისტორიაში ჯერ არ გვქონია. კონტინენტის ჩემპიონები **ამირან პაპინაშვილი** (60) და **ლაშა შავდათუაშვილი** (66) გახდნენ. ამ წარმატებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გუნდი სწორი გზით მიდის. რა დასამალია, ევროპირველობამდე იყო ეჭვი - საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული მედლები რამდენად ნიშნავდა სწორ გეზს და იქნებოდა თუ არა ეს ევროპაზე ჯილდოების მოპოვების გარანტია. ეს კითხვა ნაკრების ხელმძღვანელობასაც აწუხებდა, დღეს კი, ასეთი არნახული სტარტის შემდეგ აშკარაა, რომ მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** სწორი გეზი დაუსახა შეგირდებს. მან ახლაც დაგვამახსოვრა თავი ნიჭიერი დირიჟორობით და უკვე თამამად შეგვიძლია, თვალი გავუსწოროთ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადას, რომლისკენაც ნაკრებს უზნაძე ბუდაპეშტიდან გაუძღვა. ევროპის ჩემპიონმა უზნაძემ პირველივე ჯერზე ევროპის ორი ჩემპიონი აღზარდა.

60 კგ

პაპინა-ოქრო

პაპინაშვილმა ამჯერადაც დაახლოებით ისე იჭიდავა, როგორც სჩვეოდა - თითქოს გადამწყვეტ უპირატესობას არ ფლობს, აი, ისეთს, გული საგულეს რომ გქონდეს; პირიქით - მუდამ რაღაც უსიამოვნოს განგაცდევინებს, მუდამ ნაგების შიშში ხარ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მაინც მის სასარგებლოდ მთავრდება. გუშინ ორივე ჩვენებურს ძალიან მძიმე სტარტი გამოუვიდა - ეტყობა, თავიდან გახსნა გაუჭირდათ, მაგრამ ტურნირთან ერთად თვითონაც შევიდნენ შეჯიბრების ეშხში და თანდათან აკრიფეს ტემპი.

პაპინაშვილს განსაკუთრებით პირველ შეხვედრაში გაუჭირდა აზერბაიჯანელ **ვუგარ შირინლისთან**. იქნებ სასტარტო პაექრობისთვის დამახასიათებელი შებოჭილობის გარდა, აქ თავისი როლი პირად შეხვედრებში უარყოფითმა ბალანსმაც იქონია - ჩვენებურს წანაგები ჰქონდა მეტოქესთან. ყოველ შემთხვევაში, მძიმედ დაიწყო შეხვედრა და შირინლიმ მალევე აუღო ვაზარი... ორთაბრძოლის მეორე ნახევარში პაპინაშვილი უფრო გააქტიურდა, რაშიც დიდი როლი, ვფიქრობ, მისმა უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამაც ითამაშა. ამან შედეგიც გამოიღო - ჯერ იყო და, დასრულებამდე 1.20 წუთით ადრე ჩვენებურს ბევრიც არაფერი დააკლდა მტკივნეულ მოგებამდე, თუმცა შეხვედრის განახლებასთან ერთად მასირებული შეტევაც გააგრძელა და ვაზარით ანგარიში გაათანაბრა. ამ დროს ორივეს 2-2 გაფრთხილება ჰქონდა, მაგრამ ინიციატივას უკვე პაპინაშვილი ფლობდა. ის კვლავ უტევდა, შეხვედრის მიწურულს აზერბაიჯანელი შებოჭვაზეც დაიჭირა და წმინდად მოიგო.

მეორე მეტოქეს ქართველი ბევრად იოლად გაუსწორდა, თუმცა ჩეხი **პაველ პეტრიკოვი** შირინლიზე უფრო გამოცდილია - ჩვენებურმა ორი ვაზარი მიითვალა. თან ისეთ ბრძოლაში, სადაც მისი უპირატესობა წამითაც არ გამხდარა საეჭვო - სადავეებს უნარიანად ფლობდა და კარნახობდა შეხვედრის მიმდინარეობას. პაპინაშვილმა დაახლოებით ასე წარმართა ნახევარფინალიც ბრიტანელ **ეშლი მაკენზისთან**, რომელსაც უკვე მეოთხედ შეხვდა და ზედიზედ მესამედ მოუგო, ამჯერად - ორი იუკოთი.

ფინალის მეორე მონაწილე ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა - შვეიცარიელი **ლუდოვიკ ჩამარტინი**, აქამდე არაფრით გამორჩეული მონაწილე, ვისაც მსოფლიოს თასიც კი არ ჰქონდა მოგებული. მეტიც - ამ ყველაზე დაბალი რანგის ტურნირის ფინალშიც არასოდეს გასულა, ახლა კი ჩეხ **დავიდ პულკრაბეკს**, ჰოლანდიელ **ჟეროენ მორენს** და ბულგარელ **იანისლავ გერჩევს** თავი რომ დავანებოთ, მეორე წრიდან ფრანგთა ევროპის ექსჩემპიონი **სოფიან მილუ** გამოთიშა. ჩვენებური მას აქამდე ერთხელ შეხვდა - 2009 წელს თბილისში და მოუგო. ფინალში პაპინაშვილი კარგად დამუშავებული კონკრეტული დავალებით გავიდა - აეღო პირველი ჩავლება და აქტიურად ემუშავა გარე ფეხით. ყოველ შემთხვევაში, რამდენჯერაც ამ ჩარჩოებს გასცდა, უზნაძემ იმდენჯერ მოუწოდა უკან დაბრუნებისკენ. ნარმატებაც ამან მოუტანა - ჯერ ჩავლებაზე გარედან იუკოზე გამოცერა, მეორედ კი, დასრულებამდე 2.26 წუთით ადრე იპონზე გადაჩეხა.

1. ამირან პაპინაშვილი (საქართველო); 2. ლუდვიგ ჩამარტინი (შვეიცარია); 3. არტიომ არშანსკი (ისრაელი), ეშლი მაკენზი (ბრიტანეთი).

66 კგ

შავდათუაშვილი ტრიუმფს აგრძელებს

ლაშა შავდათუაშვილმა კარიერაში მიჯრით მეორე დიდი ტიტული მოიგო - ოლიმპიადას ევროპის პირველობაც ზედ მიაყოლა. ახლა სრული კოლექციის შეკრამდე მსოფლიოს ჩემპიონობაღა აკლია და ეს ყველაფერი 21 წლის ასაკში!

სტარტზე მასაც გაუჭირდა და ალბათ, ბევრმა იფიქრა, სადღაა შემტევი, აგრესიული, ჟინიანი შავდათუაშვილი, რომელიც ოლიმპიადაზე ჭიდაობდაო. ჩვენებურს თავიდან მართლა აკლდა მაშინდელი შემართება, მაგრამ თანდათან გაიხსნა და კლანჭები გამოაჩინა...

ოლიმპიურ ჩემპიონს მოულოდნელად ფრიად გაუჭირდა პირველივე წრეში ბელგიელ **იესპერ ლეფევერესთან**, თუმცა შეხვედრის არბიტრის გადაწყვეტილებებიც საეჭვო იყო. მაგალითად, რატომ მისცეს ბელგიელს პირველი იუკო, ან ლაშას გდება რატომ არ შეუფასეს ვაზარად... თუმცა ბელგიელს პირველი ქულა რომც არ ჩავუთვალოთ, გარჯას მაინც ნუ დავუკარგავთ - იმ მომენტშიც და მერეც კარგად შეეკრა ჩვენებურს და ბრუნზე გადააგდო, რამაც მეორედ ვაზარი მოუტანა. საბოლოოდ შავდათუაშვილმა შებოჭა და წმინდად მოიგო.

რუმინელ **მირჩა ლამუს ლაზეასთან** დიდი ენერგია არც დაუხარჯავს - 2 წუთის შემდეგ იუკო აართვა და ანგარიში ჭკვიანურად შეინარჩუნა. ეს იყო ერთადერთი მინიმალური ანგარიშით მოგებული შეხვედრა. სამაგიეროდ, ამის შემდეგ გამოაჩინა ბრჭყალები.

მით უფრო, მესამე წრეში მსაჯთა ფავორიტი მასპინძელი **ბენცე ზამბორი** ელოდა. იქნებ იფიქროთ, რომ უნგრელებმა შავდათუაშვილის ჯავრის ამოყრა ლონდონური ოლიმპიადის ფინალში **მიკლოშ უნგვარის** დამარცხების გამო სცადესო, მაგრამ მანამდე ზამბორთან უკრაინელი **გიორგი ზანთარაია** უმოწყალოდ დაჩაგრეს (საერთოდ, ტურნირზე მსაჯობა ძალიან ცუდია). არბიტრებმა შავდათუაშვილსაც იგივე დაუპირეს, მაგრამ ამან მეტოქის გარდა მსაჯებსაც აჯობა - ორჯერ დაადგო იპონზე. ამის გაკეთება ხელმეორედ არ დასჭირდებოდა, მსაჯებს პირველ გდებაზე (კარგად შეეკრა უნგრელს და ბრუნზე გადააგდო) მინიჭებული იპონი იუკოთი რომ არ შეეცვალათ -. თუმცა ამას ოლიმპიური ჩემპიონი არ დაუბნევია და მეორედაც შეასრულა წმინდა გდება.

ნახევარფინალში შავდათუაშვილი აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ (ოღონდ ქვედა წონაში) **ნიჯატ შიხალიზადეს** შეხვდა, რომელიც ჯანიანი და ცოტა მოუხერხებელი მეტოქეა. ანგარიშიც დაწინაურდა - ვფიქრობთ, იმ მომენტში ჯანით აჯობა ლაშას, როცა ვაზარზე „გადატეხა", მაგრამ მერე და მერე „ფიზიკაში" უკვე ჩვენებურმა აჯობა. დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე კარგად მოიგდო ხელთ და მოგვერდით ვაზარზე დასცა, თუმცა იქვე შებოჭა კიდეც.

ფინალისკენ ბადის მეორე ნახევრიდან გზა რუსთა დაღესტნელმა ახალგაზრდა ფალავანმა **კამალ ხან-მაგომედოვმა** გაიკაფა. ის ნამდვილად ძლიერია, მაგრამ ჩვენებურმა გამოცდილებით, ჭკუით აჯობა - დასრულებამდე 2.48 წუთი რჩებოდა, როცა დაახლოებით ისე შეეკრა და გადააგდო, როგორც უნგრელი - პირველ შემთხვევაში. ლაშამ ჰაერში ასწია მეტოქე და ბრუნით დაახეთქა ტატამს. მსაჯებმა ჯერ იპონი მისცეს, მაგრამ მერე ვაზარად გადააკეთეს, თუმცა შავდათუაშვილმა ჭკვიანური მიდგომით, ჩავლების უპირატესობით ანგარიში შეინარჩუნა. მართალია, ამ პერიოდში იუკოც დაკარგა და გაფრთხილებებიც მიიღო, მაგრამ ეს დროის გასაყვან ტაქტიკურ დათმობას უფრო ჰგავდა. თუმცა ავარელმაც მაგრად იბრძოლა და ლაშამ ხელიც აუწია შექების ნიშნად...

1. ლაშა შავდათუაშვილი (საქართველო); 2. კამალ ხან-მაგომედოვი (რუსეთი); 3. დმიტრი დრაჟინი, დავიდ ლაროსე (ორივე - საფრანგეთი).



ლაშა შავდათუაშვილის (თეთრი) მოგება და მორიგი ტიტული

მორიგი წარმატების იმედად

დღეს ჩემპიონატი კვლავაც ორ წონაში ჩატარდება, თუმცა ჩვენგან საქმეში კვარტეტი ჩაებმება - **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური** (81). ოთხივე მათგანი პირველ წრეში თავისუფალია, მეორეში კი რეხვიაშვილი რუმინელ **კოსტელ დანცულეას** შეხვდება, ტატალაშვილი - სლოვენიელ **ტადეი ცენს**, ჭრიკიშვილი - ესტონელ **გიორგი ლადოგინს**, წიკლაური - სლოვაკ **მარიან ბენკოზცკის**. ვფიქრობთ, ოთხივე ჩვენებურს ძალუძს მედლის მოპოვება. მხოლოდ ჭრიკიშვილის მდგომარეობა გვაფიქრებს, რომელსაც ფეხი სტკივა.

ჩემი ძალი ჩემთან!

ევროპის პირველობა „ლასლო პაპის სახელობის სპორტულ დარბაზში" ტარდება, რომელიც 12. 500 მაყურებელს იტევს და შიგნიდან თუ გარედან ყველას თვალს უბრმავებს სილამაზითაც, ინტერიერითაც. ერთი ეგაა, მასპინძელი ფალავნები ქომაგებს ვერ ახარებენ - ვაჟები გუშინ უმედლოდ დარჩნენ. უნგრულ ძიუდოს ნამუსი ისევ ქალებმა მოსწმინდეს, კონკრეტულად კი - **ევა ჩერნოვიცკიმ**, რომელმაც 48 კილოგრამში გაიმარჯვა. ადგილობრივთა მხურვალე ქომაგობით ფრთაშესხმულმა ევამ აშკარად დაჯაბნა ბელგიელი ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **კარლინე ვან სნიცკი**. აღსანიშნავია, რომ ბელგიელი შარშანაც გავიდა ევროპირველობის ფინალში, მაგრამ მაშინაც დამარცხდა.

გუნდურ ჩათვლაში - როგორც გაერთიანებულ ჩათვლაში, ასევე - ცალკე ვაჟებში, ჯერჯერობით ჩვენები ლიდერობენ ორი ოქროთი. თუმცა მედლების საერთო რაოდენობით ყველას ფრანგები უსწრებენ 4 მედლით. აქედან ორი ქალთა მონაგარია - 1 ოქრო და 1 ბრინჯაო, ორი კი ვაჟებისა, რაც მთლიანად 66 კილოგრამზე მოდის. მეორეზე რუსები არიან 3 მედლით - სამივე სინჯის თითო ჯილდო.

აქვე ერთი განმარტებაც - ქალებში კვლავ გახდა მედალოსანი კოსოვოელი **მაილინდა კელმენდი**, მაგრამ რადგან საერთაშორისო ფედერაციას ეს ქვეყანა არ უღიარებია, ის ნლეულსაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის დროშით გამოდის.

კვარცხლბეკი

48 კგ. 1. ევა ჩერნოვიცკი (უნგრეთი); 2. კარლინე ვან სნიცკი (ბელგია); 3. ლაეტიტა პაიე (საფრანგეთი), ებრუ შაჰინი (თურქეთი).

52 კგ. 1. ნატალია კუზუტინა (რუსეთი); 2. ანდრეა-სტეფანია ჩიტუ (რუმინეთი); 3. ლაურა გომეს როპინონი (ესპანეთი), მაილინდა კელმენდი (ესფ).

57 კგ. 1. აუტომნე პავია (საფრანგეთი); 2. საბრინა ფილზმოსერი (ავსტრია); 3. ტელმა მონტეირო (რუმინეთი), ირინა ზაბლუდინა (რუსეთი).

ირაკლი თავაძე

ქადრაკი

მიხეილ მჭედლიშვილი

ფრთხილი მეწინავეები

ნახჭევანში აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის - ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე 3 ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით სხვადასხვა ქვეყნის 11 წარმომადგენელი (მათ შორის - თბილისელი **მიხეილ მჭედლიშვილი**) მეწინავეობდა. დაწინაურებულთაგან მხოლოდ ევროპის ჩემპიონმა პოლონელმა - ბართლომეი მაჩეიამ იყო-ჩაღა - თეთრი ფიგურებით რუსი დენის ხისმატულინი დაამარცხა. დანარჩენი შეხვედრები ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ - სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი) - ალექსანდრ შიმანოვი (რუსეთი), მიხეილ მჭედლიშვილი - სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), იგორ კურნოსოვი (რუსეთი) - გადირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი), ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) - ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი), კონსტანტინ ლანდა (რუსეთი) - ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი).

მჭედლიშვილის გარდა, ტურნირში კიდევ ოთხი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს: **გიგა ყუფარაძემ** შეჯიბრების რეიტინგფავორიტ ვლადიმირ პოტკინთან (რუსეთი) წააგო, **ლევან ფანცულაიამ** ჯახანგირ აგარაგიმოვს (აზერბაიჯანი) აჯობა, ხოლო **ბაჩანა მორჩიაშვილმა** და **ზურაბ ჯავახაძემ**, შესაბამისად, ნარმინ ხალაფოვას და თაბრის იდრისოვს (ორივე - აზერბაიჯანი) გააჩერებინეს საათი.

ოთხი ტურის შემედგ 3,5 ქულით მაჩეია დაწინაურდა. 11 მოჭადრაკეს (მათ შორის - მჭედლიშვილს) 3-3 ქულა აქვთ, ფანცულაია - 2,5, მორჩიაშვილი - 2, ყუფარაძე, ჯავახაძე - 1,5-1,5 ქულა.

დღეს მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართება. მჭედლიშვილი შავი ფიგურებით ალექსანდროვს დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ორ ასაკში მედლებისა და საგზურებისთვის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 8 და14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც სალიცენზიო ტურნირიცაა - გამარჯვებულები მსოფლიოს, მეორეადგილოსნები კი ევროპის პირველობაზე გაემგზავრებიან.

ნორჩმა მოჭადრაკეებმა უკვე ხუთი ტური მოილიეს. 8-წლიანებში 4-4 ქულით სალომე ბეიტრიშვილი, ლილე გუმბერიძე, ელენე გიორგაძე და თამარ ტასოშვილი მეწინავეობენ. ბიჭებში უდანაკარგოდ საბა ლომსაძე ჩაუდგა სათავეში გათამაშების ცხრილს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება დავით სიბაშვილი. 4-4 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს თეიმურაზ კვიკვინია, ლევან დალბაშვილი და გიორგი ხათაშვილი იყოფენ.

14-წლიან გოგონებში 4,5 ქულით თეა ჭოლაძე დაწინაურდა. ნატა ჯიბუტსა და მარიამ ბაღდავაძეს 4-4 ქულა აქვთ. ბიჭებში ორხელისუფლებიანობაა - მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულა დაკარგეს გიორგი თავზარაძემ და საბა ამირიძემ, ხოლო ლუკა ობოლაძემ, ნიკოლოზ ცომაიამ და ნიკოლოზ პეტრიაშვილმა 4-4 ქულას მოუყარეს თავი.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

ვაჟა დანელია

● სუმო

მედალი ხუთი, ლიცენზია ორი

ორ დღეში 17 ორთაბრძოლა, ორი ოქრო, თითო ვერცხლი და ლიცენზია - ასეთი მაჩვენებლებით დაასრულა ქართველმა ათლეტმა **ლევან ბერიანიძემ** 21-23-წლამდელ სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც პოლონეთის დედაქალაქმა ვარშავამ უმასპინძლა. საქართველოს წარმომადგენლებმა (დელეგაციის ხელმძღვანელი - სუმოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლაშა აბესაძე**) ამ შეჯიბრებაზე ხუთი მედალი დაიმსახურეს. მათგან ორი ოქროსი და ორივე ჯილდო ბერიანიძის წილად მოდის.

მძიმე წონით კატეგორიაში მან ზედიზედ სძლია ესტონელ კრუსს, უკრაინელ ფედორენკოს, რუს ბაროევსა და გადამწყვეტ პაექრობაში თანაგუნდელ **ზაზა ბალაშვილს** დაუპირისპირდა. ზაზამ უფრო იოლად - ორი მეტოქის დამარცხებით გააღწია ფინალში, თუმცა იქ ბერიანიძესთან ვერაფერს გახდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბერიანიძე ავიდა. ქართველმა სუმოისტმა მეორე ოქრო აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოიპოვა. აქაც ოთხი კონკურენტი ჩამოიშორა გზიდან - სტარტზე მასპინძელი როზუმი დაჯაბნა, მერე უნგრელ ნემეცსა და 115 კილოში ევროპის ჩემპიონ კალიარ-ტუვეს (რუსეთი) აჯობა, ფინალში კი ბალაშვილის მძლეველ პოლონელს - ლოტის დააყრევინა ფარხმალი.

ბერიანიძემ ჩემპიონატზე ბალაშვილთან და **ზურაბ აქუბარდიასთან** ერთად გუნდურში დაიმსახურა ვერცხლის მედალი - ჩვენმა ბიჭებმა ფინალურ ოთხეულში რუსეთსა (2:1) და პოლონეთს (3:0) მოუგეს, მაგრამ უკრაინელებს დანებდნენ - 1:2.

- ოცდაერთწლამდელებში ზურაბ აქუბარდიას ბრინჯაოს მედალი ერგო, - გვითხრა საქართველოს სუმოს ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ რუხაძემ**. - ასპარეზობის სტარტზე იგი მოსკოვში მცხოვრებ შავკანიან რევაზ ბერიაშვილს დაუპირისპირდა (მამა ქართველი ჰყავს, დედა - აფრიკელი, ქართულად კარგად ლაპარაკობს) და დამარცხდა. ბერიაშვილმა ნახევარფინალამდე მიაღწია და აქუბარდიაც დამამშვიდებელში გაიყოლა. იქ კი იყოჩაღა ზურაბმა - ოთხ მეტოქეს აჯობა და მესამე ადგილზე გავიდა. ბერიაშვილი ნახევარფინალში დამარცხდა და ისიც ბრინჯაოს დასჯერდა...

წლეულს ოქტომბერ-ნოემბერში სანკტ-პეტერბურგი არაოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო თამაშებს უმასპინძლებს. იქ მონაწილეობის მისაღებად ვარშავაში ევროპის ჩემპიონატის პარალელურად სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. მძიმე წონაში **ავთანდილ ცერცვაძემ**, ხოლო მძიმესა და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ლევან ბერიანიძემ მესამე ადგილები დაიკავეს და სანკტ-პეტერბურგის თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

1-4 ივნისს ლუცკში (უკრაინა) 14-16 წლის სუმოისტთა ევროპის პირველობა გაიმართება. **ანზორ მარტყოფლიშვილის** ხელმძღვანელობით იქ სამი ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს.

ვაჟა ღანელია

● მკლავჭიდი

არენაში მოსინჯული ძალები

საქართველოს მკლავჭიდელები მნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპარეზობებისთვის ემზადებიან, აი, თუნდაც 5-13 მაისს ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ, ამიტომ ნებისმიერ ტურნირზე მოსინჯული ძალები საშეჯიბრო გამოცდილების გამდიდრებას ემსახურება. 25 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მონაწილეობდნენ მკლავჭიდელთა ღია პირველობაში, რომელიც სპორტკომპლექს „არენაში" გაიმართა. მოასპარეზეთა შორის იყო საქართველოს ნაკრების წევრი **ვასილ დაუთაშვილი,** რომელმაც მარჯვენა მკლავით მძიმე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა, ცაციათი კი მეორე ადგილს დასჯერდა. აქვე მარჯვენა მკლავითა და ცაციათი გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაუწყებთ:

გოგონები. 1. ნინო მახარაძე (საქართველოს უნივერსიტეტი) 2. ეკა გიორგაძე (პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია) 3. თამუნა კირკიტაძე (ანდრია პირველწოდებელის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (სანგუ))

ვაჟები. მარჯვენა მკლავით. 65 კგ. 1. ნიკა წერეთელი (თსუ), 2. გიორგი გოჩავა (აგრარული უნივერსიტეტი), 3. ლორენცო ქობალია (სტუ).

75 კგ. 1. ნიკა წერეთელი (თსუ), 2. ილია ალბუთაშვილი (შავი ზღვის უნივერსიტეტი), 3. მიხეილ ფუხაშვილი (სეუ).

80 კგ. 1. ვახტანგ ბერიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 2. დიმიტრი ლიპარტელიანი (თსუ), 3. თორნიკე აფციაური (დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია „ეთა").

90 კგ. 1. ლაშა დორეული (თსუ), 2. ვახტანგ ბერიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 3. გოჩა ხაიკაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

+90 კგ. 1. ვასილ დაუთაშვილი (სტუ), 2. ვალერი გობეჯიშვილი (საავიაციო უნივერსიტეტი), 3. ლევან ყოჩიაშვილი (აგრარული უნივერსიტეტი).



მარცხენა მკლავით. 65 კგ. 1. ნიკა წერეთელი (თსუ), 2. ბექა ღვინიაშვილი (თელავის უნივერსიტეტი), 3. ტარიელ ღუდუშაური (სტუ).

75 კგ. 1. ილია ალბუთაშვილი (შავი ზღვა), 2. იარუსლავ ფალიანი (აგრარული უნივერსიტეტი), 3. ნიკოლოზ კლდიაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

80 კგ. 1.ვახტანგ ბერიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 2. დიმიტრი ლიპარტელიანი (თსუ), 3. თორნიკე აფციაური („ეთა").

90 კგ. 1. ვახტანგ ბერიძე (აგრარული უნივერსიტეტი), 2. ლაშა დორეული (თსუ), 3. ალექსანდრე ნებიერიძე (სამედიცინო უნივერსიტეტი).

+90 კგ. 1. ვალერი გობეჯიშვილი (საავიაციო უნივერსიტეტი), 2. ვასილ დაუთაშვილი (სტუ), 3.დავით კილაძე (გორის უნივერსიტეტი).

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

უბრძოლველად ნახევარფინალში

უზბეკმაჩოგბურთელმა ნიგინა აბდურაიმოვამ, რომელიც ანდიჯანის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მეორე ნომრად იყო განთესილი, მე-2 წრეში იოლად სძლია ანა გრიგორიანს (რუსეთი, 6:1, 6:1), მაგრამ, ეტყობა, ტრავმა მიიღო, რადგან გუშინ თბილისელ **ოქსანა კალაშნიკოვას** არ გამოუცხადდა და ჩვენებურიც უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში, სადაც დოლინა ვინოგრადოვას (რუსეთი, N 8) გაუწევს მეტოქეობას.

გუშინვე პირველ სეტში ტრავმის გამო შეწყვიტა პაექრობა (3:3-ზე) ასპარეზობის რიტინგფავორიტმა ვერონიკა კაპშაიმ (უკრაინა). იგი თანამემამულე ანასტასია ვასილიევას შეხვდა. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ვასილიევა და დარია მირონოვა (რუსეთი) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

სტამბოლში 50.000-იან ტურნირს გამოეთიშა **სოფიო შაფათავა.** წყვილებში იგი ვალენტინა ივახნენკოსთან ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ჟუსტინა ჟეგიოლკას (პოლონეთი) და მელის სეზერის (თურქეთი) დუეტთან ვერაფერს გახდა - 4:6, 4:6.

ვაჟა დანელია

ოქსანა კალაშნიკოვა

● სანდრო კანდელაკი 120

მძლეთამძლე

ვერის დაღმართზე ფეხით მოსიარულეები და რამდენიმე ავტომობილი ერთბაშად შეჩერდნენ. ყველანი ერთ მთა კაცს შეჰყურებდნენ. ვიღაცამ თქვა - ეს ხომ ჩვენი სანდრო კანდელაკია! გოლიათი თვალს მიეფარა თუ არა, ხალხი და მანქანებიც ამოძრავდა...

სანდრო კანდელაკი (1893 - 1959) ქართული ჭიდაობის ნამდვილი ლეგენდაა. სხვათა შორის, უცხო ტომის ხალხმა უწოდა მას ზედსახელი - „საქართველოს გოლიათი".

სანდროს სახე, მისი არაჩვეულებრივი და უზარმაზარი აღნაგობა მხოლოდ ქართული ჭიდაობის მატიანეში როდია აღბეჭდილი. იგი განასახიერებდა ეპიზოდურ როლებს ქართულ კინოფილმებში: „ჯანყი გურიაში", „ხანუმა", „უკანასკნელი ჯვაროსნები", „ქაჯანა", „ხიდი ენგურზე", „ქაჯეთი", „მეგობრები", „გიორგი საakაძე".

სანდროს შთამბეჭდავი პორტრეტი ქვაში გამოსახა საქართველოს სახალხო მხატვარმა მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილმა, ეს ქანდაკება ამშვენებს დღეს მცხეთის ცენტრალურ მაგისტრალს.

წლეულს, ჩვენი სასიქადულო ფალავნის და საზოგადო მოღვაწის, სანდრო კანდელაკის 120 წლის იუბილეა. ვფიქრობთ, უპირველესად მცხეთაში და სანდროს მშობლიურ სოფელ ნიჩბისში ამ თარიღს სათანადოდ აღნიშნავენ.

ჩვენ კი რამდენიმე ეპიზოდს მოგაგონებთ დიდი ფალავნის ცხოვრებიდან.

■ ■ ■

ნიჩბისში ერთი ადგილი იყო, სადაც მზე ვერასოდეს აღწევდა - „უმზეურს" ეძახდნენ. სწორედ იქ იმართებოდა ქართული ჭიდაობა. ერთხელ ღვთისმშობლობის დღესასწაულზე თიანელმა „კუჭამ" ყველა „გალახა" (წააქცია). მამასახლისმა ზემო ნიჩბისიდან სასწრაფოდ ყმაწვილი სანდრო კანდელაკი იხმო. სანდრო მხრებში სწვდა იმ „კუჭას" და წრის გარეთ გადააგდო. დამფრთხალმა „კუჭამ" მოკრიფა თავისი ტანისამოსი და გაეცალა იქაურობას. ასე დაიწყო მშობლიური სოფლის საჭიდაოდან სანდროს დიდი საფალავნო გზა.

ნარეკვავის ხიდთან (მცხეთაში) ჭიგოთი დატვირთული ურემი მთლიანად ტალახში ჩაეფლო. ამ დროს დუქნიდან სანდრო კანდელაკი გამოვიდა და მეხრეს უთხრა: ურემს ამოვიყვან და ხარ-კამეჩსაც მე წავიყვანო. მეხრე დათანხმდა.

სანდრომ ხარ-კამეჩი გაუშვა, თავტანბიკი რომ არ გატეხილიყო უღელს ძელაყინი დაუდო და ასე ამოათრია ჩაფლული ურემი.

პატრონს სიხარულის ნაცვლად ელდა ეცა. პირობის თანახმად ხომ ხარ-კამეჩი სანდროს უნდა ნაეყვანა. გოლიათი მივიდა პატრონთან და უთხრა - ძმობილო მე შენი ხარ-კამეჩი არ მინდა. მხოლოდ ჩემი ძალ-ღონე მოვსინჯეო.

■ ■ ■

სხვათა შორის, მცხეთის ყველა დუქანში ერთლიტრიანი ხელადა ჰქონდათ ერთი კაციასათვის. სწორედ იმ ხელადიდან აწვდიდნენ ღვინოს სანდრო კანდელაკს.

■ ■ ■

ხიდისყურში (მცხეთა) ნავთობის მილსადენი გადიოდა. ხალხს ნება დართეს ეს მილები ამოეღოთ, რომ უცხოეთში არ გაეტანათ ნავთობი. ამ სახიფათო საქმეში სანდროც გაერია. მილსადენთან შეკრებილ ხალხს სანდრო ეტყოდა ხოლმე - მინა ამოთხარეთ ისე, რომ მილს ხელით მოვეჭიდოო. მერე ჩაავლებდა ხელებს და მილიც და მინაც ინყებდა ძვრას...

■ ■ ■

ფალავანი სანდრო კანდელაკი, ერთხანობას მცხეთის სამჭედლოს უფროსი იყო, სადაც ნალბანდი გიგოლა მჭედელი ურმის თვლებს, ხარებს და ცხენებს ჭედავდა.

იყვნენ თვითმხილველები, რომლებსაც მცხეთის კლუბში ფეხის წვერებზე მოცეკვავე 200-კილოგრამიანი სანდრო კანდელაკი უნახავთ...

■ ■ ■

სატვირთო მანქანა - „პალტარატონკას" ერთმა მძღოლმა გააბრაზა გოლიათი. სანდრო მივიდა, მანქანა უკანა მხრიდან ასწია და ბორბლებმა ჰაერში დაიწყო ბრუნვა...

■ ■ ■

1943 წელს სანდრო და ფალავანი პატარა გლდანელი (ვანო წამალაშვილი) ქვემო ქედში ყოფილან. რამდენ ტომარა ხორბალს აიკიდებ, იმდენი წაიღეო, უთქვამთ სანდროსთვის ქედელებს. ზოგი თვითონ, ზოგი კიდევ სხვების დახმარებით ბევრი ტომარა წამოუკიდია მხრებზე. მერე ეს ხორბალი პავლე მაისურაძის ამერიკულ მანქანა „დოჯზე" დაუწყვია, რომელიც მინისპირამდე ძირს ჩაზნექილა...

■ ■ ■

„არის შემთხვევები, როცა ხერხი ვერა სჯობს ღონეს, თუმცა ამით ბევრი არაფერი აკლდება ქართულ სიბრძნეს. ხერხი ვერ სჯობს ღონეს მხოლოდ მაშინ, როცა საუბარი გვაქვს სახელოვან ქართველ გოლიათ სანდრო კანდელაკზე" - წერდა ქართული ჭიდაობის დიდი ქომაგი თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

■ ■ ■

სოფელ ძალისში ერთი ხარი ყოფილა სახელად „გიჟა". თურმე ვერავინ ეკარებოდა იმ ხარს. მხოლოდ სანდროს შეუჩერებია „გიჟა" და ძირს დაუცია. ერთი სიტყვით, კანდელაკის, როგორც მძლეთამძლე ფენომენის სახელს დღესაც გაიგონებთ ხალხში: „კანდელაკივით ღონიერია", „ნამდვილი კანდელაკი", „შეხედეთ, კანდელაკივით გოლიათია", „კანდელაკი ხომ არა ხარ" და ა.შ.

გაბრიელ ბარჯაძე

სურათზე: მცხეთაში, „ბებრის ციხის" ძირში, პატარა ბიჭების ჭიდაობას თვით „საქართველოს გოლიათი" სანდრო კანდელაკი მსაჯობდა.

ლელოზე ხელმოწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

● სუპერლიგა 2012-13. 1/4 ფინალი

აი, რაზომ გვიყვარს კალათბურთი

ორი ნახევარფინალისტი ცნობილია, ორს ველით

25 აპრილი, თბილისი
სპორტკომპლექსი „არენა“

	თსუ	ოლიმპი
	77	117

	I	II	III	IV
თსუ	12	16	25	24
ოლიმპი	33	33	25	26

თსუ	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
გ. ბაძრაძე	32	5	5	1	3	0	19
ასლანი	20	2	0	2	0	0	10
თავამიშვილი	18	3	0	2	0	0	12
ხანიაშვილი	33	2	5	5	1	0	13
კოზიძე	17	5	0	0	0	0	6
ვახანია	22	8	4	2	1	0	8
ნ. ბაძრაძე	14	3	2	0	1	0	0
ბერუაშვილი	16	4	0	0	1	0	0
ხიზანიშვილი	23	2	2	2	1	0	9

ოლიმპი	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
გულისაგლდაშვილი	13	0	4	1	1	0	3
ტომარაძე	13	5	2	1	0	0	7
სოკი	17	4	3	0	0	0	17
ბერიშვილი	17	5	1	2	1	0	11
თავართქილაძე	8	2	2	0	2	0	9
მიქელაძე	12	3	4	1	1	0	3
თეთიშვილი	20	1	3	1	1	0	6
ფაცაცია	19	6	3	1	1	0	13
ა. ლეკვეიშვილი	18	10	2	3	1	0	12
მური	22	3	2	1	1	0	19
მილეშვილი	21	9	3	3	0	3	8
ანდრიუკიატისი	14	2	1	2	0	0	9

სერია მოიგო „ოლიმპმა“ - 2:0

- აი, რატომ გვიყვარს კალათბურთი, - თქვა 23 აპრილს თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა **ირაკლი ხოშტარიამ**, ხოლო გუშინ ღამით თითქმის იგივე სიტყვები „არმიას“ თავკაცმა **კოტე ტულუშმა** გაიმეორა. აქ მოგებასა და წაგებაზე ლაპარაკი არ არის, სანახაობრივი მხარე იგულისხმება - მართლაც, „არმია“-“დინამოს“ წყვილში იმდენად საინტერესო ბრძოლებია, წამყვანი ქვეყნის ჩემპიონატებსაც დაამშვენებდა. ამ წყვილის მატჩებს ერთი-ორად ეფექტიურს ხდის „დინამოს“ ქომაგთა სიუხვე, ხმაური და ორგანიზებულობა. ჰოდა, საკალათბურთო ფორტუნამ გუშინ ასე გადაწყვიტა: სერია ორ მატჩში დამთავრებას არ იმსახურებს და ანგარიში გათანაბრდა - 1:1. მესამე შეხვედრა შაბათს ისევ სპორტკომპლექს „არენაში“ 20 საათზე დაიწყება. სერია ორ მოგებამდეა.

ორი მატჩი დასჭირდათ ნახევარფინალში მოსახვედრად „ოლიმპსა“ და „შსს აკადემიას“. თუ ოლიმპელებს შეეძლოთ წინასწარ მშვიდად ყოფილიყვნენ (ყველამ იცოდა, თსუ-ს მეორედაც მოუგებდნენ), შსს-ელებს უხერხული მეტოქე ჰყავდათ - „სოხუმი“ ხომ წლეულს ამოუცნობი ფენომენია, „დინამო“ ორი კვირის განმავლობაში ორჯერ დაამარცხა, მანამდე „რუსთავს“ მოუგო... ასეა თუ ისე, ამ წყვილიდან ნახევარფინალის საგზური „აკადემიამ“ მოიპოვა. იგი „რუსთავი“-“ქუთაისს“ შორის გამარჯვებულს დაელოდება, ხოლო „ოლიმპი“ „არმია“-“დინამოს“ გამარჯვებულს შეხვდება.

თსუ-ოლიმპი

საჩემპიონო მწვერვალისკენ მიმავალი „ოლიმპისთვის“ თსუ იოლი ნადავლი აღმოჩნდა. პირველივე პერიოდში 33:12 დანინაურების შემდეგ საკითხავი ისღა იყო, საბოლოოდ რა სხვაობით მოიგებდა **გია კაზანჯიანის** გუნდი. მანაც ლამაზი ანგარიში აირჩია: სამი შვიდიანი და ორი ერთიანი - 117:77.

საინტერესოა, რომ მატჩის ბომბარდირები გამთამაშებლები გახდნენ: „ოლიმპის“ ახალწვეულმა **დარენ მურმა** და თსუ-ელმა **გივი ბაქრაძემ** 19-19 ქულა ჩააგდეს. ერთადერთი დაბლ-დაბლი კი **აკაკი დვალიშვილის** ანგარიშზეა: 12 ქულა, 10 მოხსნა.

გია კაზანჯიანი (ოლიმპი):

- იოლი გამარჯვება მოვიპოვეთ, იყო დაცვაში ხარვეზები, თუმცა ეს ყველაფერი გამოსწორებადია.

გიორგი ჩხეიძე (თსუ):

- ვუულოცავ „ოლიმპს“ ნახევარფინალური საგზურის მოპოვებას. დიდი სხვაობით წავაგეთ, რაც განპირობებულია ჩვენივე შემადგენლობით. ისეთი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს, როგორიც „ოლიმპია“, ნამდვილად ვერ გავუწევდით სათანადო წინააღმდეგობას. ჩვენი მიზანი იყო პლეი ოფში გასვლა, რასაც მივაღწიეთ კიდეც.

სოხუმი-შსს

პირველი ტაიმის ბოლოს **კირკ არჩიბექის** ხელი სახეში მოხვდა „სოხუმის“ მეფარე **ვახტანგ ქადარიას**, რომელსაც ცხვირი დაუზიანდა და სისხლიც ბევრი დაღვარა (მანამატჩევს, პრესკონფერენციაზე არჩიბექმა ვახტანგს ხელი ჩამოართვა და მოუბოდიშა). სოხუმელთა დამრიგებელი, **ვაჟა კვარაცხელია** წუხდა, რომ ქადარიამ მატჩი ტრავმის გამო არასრულფასოვნად ჩაატარა და სწორედ ამის მიზეზი იყო ფარქვეშ შსს-ელთა დომინირება. მოხსნებში „ძალოვნებმა“ 39:26 იმარჯვეს. თავის მხრივ, სოხუმელები პერიმეტრიდან ცდილობდნენ დაკარგულის ანაზღაურებას, 11 სამიანიც გამოიყენეს (მათ შორის, 2 ათუაშვილმა), მაგრამ „აკადემიას“ მაინც ვერ აჯობეს.

შსს-ელთა დამრიგებელი **გიორგიოს კეცელიდისი** კი უკმაყოფილებას ვერ მალავდა - შემადგენლობითაც ძლიერები ვართ, ტაქტიკურადაც კარგად ვართ მომზადებულები და დიდი სხვაობით მოგებას იმიტომ ვერ ვახერხებთ, რომ რიგ ეპიზოდებში კალათბურთელები კონცენტრაციას კარგავენო.

ასეა თუ ისე, **დეონტა ვონმა** 25 ქულა ჩააგდო, ხოლო კირკ არჩიბექმა 15 ქულას 11 მოხსნა მიამატა.

გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):

- არაერთხელ აღმინიშნავს რომ მომწონს „სოხუმის“ ტაქტიკა. მეორე პერიოდში ბევრი დაკარგვა გვქონდა, საბოლოოდ კი არ უნდა მიგვეცა 67 ქულის ჩაგდების უფლება.

ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):

- „შსს აკადემია“ ძლიერი გუნდია, მივულოცავ მოგებას. ვფიქრობ შსს აუცილებლად ითამაშებს ფინალურ მატჩს და ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტია.

25 აპრილი, თბილისი
სპორტკომპლექსი „არენა“

	სოხუმი	შსს აკადემია
	67	80

	I	II	III	IV
სოხუმი	19	17	11	20
შსს აკადემია	28	9	25	18

სოხუმი	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ჭლაიძე	31	2	5	4	2	0	14
კოვალიანი	29	2	1	1	0	1	2
შვანგირაძე	31	6	3	0	1	0	9
ბაკაშვილი	3	0	1	0	0	0	2
ქადარია	19	3	0	2	0	0	4
ათუაშვილი	38	6	3	0	0	1	19
ჯინჭარაძე	8	0	0	0	0	0	5
სტოიაკოვიჩი	36	3	6	4	0	1	12

შსს	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ჩიტაშვილი	1	0	0	0	0	0	0
ვონი	33	3	2	2	2	0	25
რობავა	28	2	4	2	0	1	7
ბოქოლიშვილი	19	3	1	1	1	0	4
ლონდარიძე	7	5	0	0	0	0	2
პრევიტი	25	4	7	0	0	0	13
იმნაძე	3	0	0	0	0	0	0
ლომოური	2	1	0	0	0	0	0
კუნასი	10	2	0	0	0	0	2
ბექაური	3	1	0	0	0	0	2
არჩიბექი	31	11	3	2	0	1	15
რეიმონდი	34	3	1	2	2	0	10

სერია მოიგო „შსს აკადემიამ“ - 2:0

დინამო-არმია

25 აპრილი, თბილისი
სპორტკომპლექსი „არენა“

	დინამო	არმია
	75	77

	I	II	III	IV	(ო)
დინამო	16	18	19	14	8
არმია	10	19	28	10	10

დინამო	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
კარიმი	43	4	8	1	0	1	17
ს. ლეჟავა	21	1	1	1	1	0	1
ჩიკვილაძე	42	4	5	3	0	0	15
კვიდია	6	0	1	0	0	0	2
გელაზონია	1	0	0	0	0	0	0
კარტერი	39	8	1	0	2	0	18
ოლუიჩი	37	7	3	2	0	2	15
კლიმენი	33	4	2	0	1	0	7

არმია	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
გამყრელიძე	39	7	10	2	2	0	17
გაბიაშვილი	25	5	0	0	0	0	10
ბოისა	23	3	3	0	0	0	7
წივწივაძე	19	5	2	0	1	0	8
გ. ლეჟავა	29	6	4	0	0	0	3
საყვარელიძე	9	1	0	1	0	1	0
შარაბიძე	42	9	0	2	1	1	25
ჯგერენაია	12	3	1	2	1	0	5
ფარლავა	23	4	1	1	0	0	2

სერიაში ანგარიშია 1:1

ნახევარფინალისტთა გამარჯვებაში 25-ქულიანი წვლილი შეიტანა **გიორგი შარაბიძემ**, რომელიც მეოთხედფინალში შეუჩერებელია; სამმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა საქართველოს ნაკრების უკანახაზელ **ლაშა გამყრელიძეს** (17 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ხოლო ბოლო წუთებზე მეტად ფასეული სამუშაო გასწიეს **ბექა წივწივაძემ** და **ზვიად ბაბიაშვილმა**. „დინამოდან“ კი **კრიმი-ჩიკვილაძე-კარტერი-ოლუიჩის** კვარტეტმა 65 ქულა ჩააგდო. ოვერტაიმის ბოლო წამზე, კარიმს მოედნის კიდიდან თამაშის შემოტრიალებაც შეეძლო, მაგრამ მისი ტყორცნა კალათმა არ მიიღო და „არმიამ“ 77:75 გაიმარჯვა.

აი, ბოლო 10 წუთში ქრონოლოგიურად როგორ განვითარდა მოვლენები:

დინამო-არმია

04:59	შარაბიძე (არმია) 1ქ - 59:65
04:25	კარტერი (დინამო) 2ქ - 61:65
04:07	შარაბიძე (არმია) 2ქ - 61:67
02:37	ოლუიჩი (დინამო) 2ქ - 63:67
00:39	კარტერი (დინამო) 2ქ - 65:67
00:24	კარტერი (დინამო) 2ქ - 67:67

ოვერტაიმი

04:17	წივწივაძე (არმია) 2ქ - 67:69
03:57	კლაიმენი (დინამო) 2ქ - 69:69
03:27	ჩიკვილაძე (დინამო) 2ქ - 71:69
02:19	გაბიაშვილი (არმია) 1+1ქ - 71:71
01:44	წივწივაძე (არმია) 2ქ - 71:73
01:27	გამყრელიძე (არმია) 1+1ქ - 71:75
01:09	ოლუიჩი (დინამო) 2ქ - 73:75
00:43	გაბიაშვილი (არმია) 2ქ - 73:77
00:32	კარტერი (დინამო) 2ქ - 75:77

კოტე ტულუში (არმია):

- დიდი მადლობა თითოეულ ჩემს მოთამაშეს, წინა წაგებული შეხვედრის შემდეგ ურთულეს სიტუაციაში აღმოვჩნდით, მძიმე იყო ამ ყველაფრის გადატანა, თუმცა ეს მოხერხდა ყველა იმ ადამიანის ხელშეწყობით, ვინც ჩვენს კლუბშია. მადლობა ასევე მეტოქეს, პირადად მე მართლაც რომ სიამოვნება მივიღე ამ შეხვედრით. მესამე თამაში შაბათსაა და შევეცდებით სასურველ შედეგს მივაღწიოთ. დიდი მადლობა ორივე გუნდის გულშემატკივარს, ასეთი მხურვალე ქომაგობისთვის.

ირაკლი ხოშტარია (დინამო):

- მიუხედავად იმისა რომ წავაგეთ, არაფერია დამთავრებული. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბიჭები მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში ძალებს არ დაიშურებენ და ყველანაირად მზად იქნებიან, როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ტაქტიკურად. რაც შეეხება „არმიას“, ძლიერი გუნდია მაღალი კლასის მოთამაშეებით. უკვე მეორე თამაშია გიორგი შარაბიძე პრობლემას გვიქმნის, თუმცა ვეცდებით ეს პრობლემაც გადავჭრათ.

ლაშა გამყრელიძე (არმია):

- დაძაბული, სანახაობრივი შეხვედრა იყო. მეორე თამაშიც ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, რაც მაყურებლისთვის ძალიან საინტერესოა. პირადად მე მთელი სეზონის მანძილზე თამაშით ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. „დინამო“ ძლიერი გუნდია, თუმცა მესამე შეხვედრაში ვეცდებით გამარჯვება ჩვენ დაგვრჩეს.

ბექა ჩიკვილაძე (დინამო):

- მივულოცავ „არმიას“. სამწუხაროა, რომ წავაგეთ, თუმცა ვემზადებით მესამე მატჩისთვის.

ვაჟა სიმონიშვილი

ლელოელები სამძიმარს ვუცხადებთ მთავარი რედაქტორის მოადგილე ნიკოლოზ ნეფარიძეს მამის გარდაცვალების გამო.

ინტერვიუ ირაკლი მაჩხანელთან

სულსწრაფი ხალხი ვართ, ყველაფერი ახლავე გვინდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებში მოსახვედრად მარტო კარგი მორაგბეობა არ კმარა. გერქვას „ბორჯღალოსანი“, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, უდიდესი პატივია და მას დამსახურება სჭირდება. კარგ მორაგბესთან ერთად, უნდა იყო ზრდილი, თავმდაბალი, ზნეობრივად სუფთა და ჭეშმარიტი მამულიშვილი. „ბორჯღალოსნების“ გარემარბი და ამჟამინდელი კაპიტანი ირაკლი მაჩხანელი სწორედ ყველა ამ თვისებითაა შემკული. მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში ასპარეზობა სათქმელადაა იოლი, რეალურად კი, საამისოდ მუხლჩაუხრელი შრომა და ყოველივე ამქვეყნიურ სიამეზე უარის თქმაა საჭირო. ეს ირაკლიმ შეძლო. მეტიც, გამორიცხული არ არის, მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმს მეოთხედაც ეწვიოს, თანაც კაპიტნის რანგში. თბილისის „აკადემიის“ აღზრდილმა რვა წლის წინათ საფრანგეთს მიაშურა. მერე უეცრად, თავისთვის მოულოდნელადაც, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და წლევანდელი სეზონის დასაწყისში თბილისის „არმაზში“ ჩაირიცხა. ირაკლი მაჩხანელს მის საკლუბო და სანაკრებო კარიერაზე სასაუბროდ შინ ვეწვიეთ. მაგიდას რომ მივუსხედით, იქვე წიგნი შევნიშნე. ონორე დე ბალზაკის „შაგრენის ტყავი“ აღმოჩნდა.

- წიგნის კითხვა ძალიან მიყვარს. ამჟამად იმ წიგნებს ვკითხულობ, „კვირის პალიტრის“ პროექტში - „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ - რომ შედის. კარგი წამოწყებაა, ძალიან მომწონს.

- რაგბიზე გადავიდეთ. საქართველოს ნაკრების პირველი მორაგბე ხართ, რომელიც საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნდით და აქ განაგრძობთ კარიერას. რატომ მოიქეცით ასე?

- სანამ საქართველოში წამოსვლას გადავწყვეტდი, დიდხანს ვყოყმანობდი. არადა შინ დაბრუნება მინდოდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი ზურა ამონაშილი ჩემი მეგობარია. ხშირი, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი გვქონდა. მასთან საუბარში ვთქვი, რომ თბილისში დაბრუნება მინდოდა. მან შემომთავაზა „არმაზის“ ვარიანტი. „არმიაში“ თამაში არ მინდოდა. იმიტომ კი არა, რომ ცუდი გუნდია. თითქმის ყველა ძლიერი მოთამაშე იქ გადადიოდა და ამიტომ. თუმცა, სერიოზული პირობები რომ შემოეთავაზებინათ, ალბათ დავთანხმდებოდი.

მერე ზურამ „არმაზის“ ხელმძღვანელებსაც უთხრა ჩემ შესახებ. ისინიც დაინტერესდნენ. დამიკავშირდნენ და სიტყვიერად შევთანხმდით. ისეთი ადამიანები არიან, რომ სიტყვაზე ნდობა ნამდვილად შეიძლება. გუნდის მწვრთნელებს დავით ვართანიანს და დავით კიკნაძეს ძალიან კარგად ვიცნობდი და კომუნიკაციის პრობლემა არ გვქონია.

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ „არმაზმა“ წლეულს თავის ისტორიაში ყველაზე წარმატებული სეზონი ჩაატარა. საქართველოს ჩემპიონატში გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა. ასე შორს არმაზელები არასდროს წასულან. რა შეიცვალა გუნდში?

- უწინარესად პროფესიონალიზმი. სეზონის დაწყების წინ, როგორც წესი და რიგია, ყაზბეგში საწვრთნელი შეკრება გავმართეთ. იქვე დავისახეთ პროგრამა მინიმუმი. შევთანხმდით, რომ იმ კონტინგენტით, რაც გუნდში იყო, წარმატება მეოთხე ადგილზე გასვლა იქნებოდა. მიზნად ფინალში მოხვედრა რომ დაგვესახა, არ იქნებოდა სწორი.

ამასთან ერთად, გაგვიმართლა კიდეც. თითქმის მთელი სეზონი ერთი და იმავე შემადგენლობით ვითამაშეთ. სერიოზული ტრავმა არავის მიუღია. ასე რომ არ ყოფილიყო, რესურსი ნამდვილად არ გვეყოფოდა დასახული მიზნის მისაღწევად. თანაც მწვრთნელებმა შესანიშნავად იმუშავეს, საქმეში მთელი სული და გული ჩადეს. შედეგად, დავით ვართანიანი საქართველოს 19-წლამდელთა მწვრთნელად დაინიშნა. ძალიან უშუალო, კარგი მწვრთნელია. მეც თქვენთან ერთად ვსწავლობ და დამეხმარეთო - გვეუბნებოდა. მოთამაშეებიც ბოლომდე ავყევით. მერე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა. თითქმის ყველა ბავშვობიდან ერთად თამაშობს, ერთმანეთის მეჯვარეები, ნათელ-მირონები არიან. ერთმანეთის დანახვა უხარიათ. ეს გუნდის ერთ მუშტად შესაკრავად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

- რა გეგმები აქვს სამომავლოდ „არმაზს“?

- მალე გუნდის კრება გაიმართება და კლუბის ხელმძღვანელები გეგმებზე იქ ისაუბრებენ. ვიცი, რომ გარკვეული მოსახაზი არსებობს. უნდათ, რამდენიმე პროფესიონალი მოთამაშე დაიმატონ, რათა მომავალ სეზონში კიდევ უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლონ.

- რით განსხვავდება საქართველოს ამჟამინდელ ჩემპიონატი იმ პერიოდის გათამაშებისაგან, როცა საფრანგეთში გადაბარგდით?

- ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ თამაშის ტემპი გაცილებით გაზრდილია. ამის თქმა განსაკუთრებით მოწინავე გუნდებზე შეიძლება. ორი საუკეთესო გუნდი ამჟამად უფრო მაღალ ტემპში, ბევრად უკეთეს რაგბის თამაშობს, ვიდრე იმ პერიოდში, როცა საქართველო დავტოვე და საფრანგეთში გადავედი.

- საქართველოს ჩემპიონატში რამდენიმე უცხოელი მსაჯი გამოჩნდა. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?

- ეს აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია. ქართველები სულსწრაფი ხალხი ვართ. ახლავე გვინდა ყველაფერი. უმაღლესი დონის მსაჯი რომ ჩამოვიდეს, იმასაც კრიტიკის ქარცეცხლში გავატარებთ. საფრანგეთის ელიტურ დივიზიონშიც კი, მსაჯები მატჩის მსვლელობისას 4-5 შეცდომას უშვებენ. ამიტომ, დრო გვჭირდება საიმისოდ, რომ ქართველი მსაჯები გაიზარდონ. ყურადღება იმაზე უნდა გამახვილდეს, რა არის მსაჯობისას მთავარი. იმედია, ამ პროექტის მეშვეობით სქართველოში მსაჯების კვალიფიკაცია საგრძნობლად გაიზრდება.

- საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. წლეულს თქვენ გუნდის კაპიტნობა განდეს. რამდენად მძიმეა ეს ტვირთი?

- ძალიან ძნელი ყოფილა. აბსოლუტურად განსხვავებული განცდაა. პირველ ორ მატჩში ისე საკუთარ თავზე არ ვნერვიულობდი, როგოიც თანაგუნდელების თამაშზე. ასე მეგონა, რომ თუ ვინმეს რამე არ გამოუვიდოდა, მე ვიყავი პასუხისმგებელი. ძირითადად სულ გუნდურობაზე ვფიქრობდი. მერე ნელნელა ადაპტაცია გავიარე და რუმინეთთან მატჩში ჩემს ახალ ამპლუასთან უკვე შეგუებული ვიყავი.

ამაში ძალიან დამეხმარა ყოფილი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე. ის ძალიან გამოცდილია და კარგად იცის ყველა ნიუანსი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც მოთამაშე ის ნაკრებში აღარ არის, მაინც ჩვენთანაა. 2003 წლიდან მოყოლებული საწვრთნელ შეკრებებზე ჩვენ ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ახლაც ასეა და მუდმივად მეუბნება, რას უნდა მივაქციო ყურადღება, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტნობისას.

- მუდმივად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელი გუნდში თამაშის ახალ სტილს ნერგავს. თქვენ როგორ უყურებთ ამ პროცესს?

- საქართველოს ნაკრები აქამდე ერთ-ერთი ყველაზე დაუბალანსებელი გუნდი იყო. საქმის 80 პროცენტს მორკინალები აკეთებდნენ და ეს გარკვეულ დონეზე ამართლებდა კიდეც. ახლა ვცდილობთ თამაშში თანაბრად მიიღონ მონაწილეობა როგორც მორკინალებმა, ისე უკანახაზელებმაც. ბოლო ერთა თასის გათამაშებაში, მართალია ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც გამოგვივიდა ახალი სტილით თამაში. პორტუგალიის ნაკრებთან შესანიშნავი ხუთი წუთი გვქონდა. გვინდა, რომ ასეთი დონის თამაში ტაიმში 15-20 წუთი მაინც რომ ვანახვოთ. როცა დიდი ხნის განმავლობაში ერთი ტაქტიკით თამაშობდი, ახალზე გადაწყობა სწრაფად ვერ მოხდება. ამას დრო უნდა. ახლა ახალგაზრდულ ნაკრებში სწორედ ამ სტილით ათამაშებენ ბიჭებს და როცა ეროვნულ ნაკრებში მოვლენ, უკვე მზად იქნებიან. მათთვის ღია, გაშლილი თამაში ახალი ხილი არ იქნება.

საქართველოს ნაკრებს თავდადება არასდროს აკლდა. ახალმა ტაქტიკამ კი ბევრი კრიტიკა გამოიწვია. ზოგჯერ შეიძლება ეს გადაჭარბებულიც იყო, შეიძლება ზომიერიც, მაგრამ ვფიქრობ, რომ ნაკრებს კარგი ტაქტიკა აქვს არჩეული და სწორი მიმართულებით ვითარდება.

გუნდში მორაგბეებს შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. ბევრი დამსახურებული მოთამაშე წავიდა ნაკრებიდან, ბევრი ახალგაზრდაც მოვიდა, რომლებმაც გუნდში ინტეგრირება ადვილად შეძლეს. მიმაჩნია, რომ ყველასთვის დიდი პატივია ისეთი მაღალი კლასის მორაგბეების გვერდით თამაში მამუკა გორგოძე, დავით ზირაქაშვილი, დავით ქუბრიაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი და გიორგი ჩხაიძე რომ არიან. ესენი მეც ძალიან მეხმარებიან.

- ნაკრების თითქმის ყველა წევრი საუბრისას აღნიშნავს, რომ მილტონ ჰეიგი მაღალი დონის სპეციალისტია. ერთ-ერთმა ისიც კი თქვა, რომ ახალზელანდიელი საუკეთესოა მათ შორის ვისაც ჩვენს ეროვნულ გუნდში უმუშავია...

- ამ მოსაზრებას მეც ვეთანხმები. ყველა ის უცხოელი, ვისაც საქართველოს ნაკრებში უმუშავია, ერთა თასის დასრულების შემდეგ ქუდს დაიხურავდა და შინ ბრუნდებოდა. ჰეიგი კი თბილისში ცხოვრობს, ძალიან დიდი მონდომებით მუშაობს. ყველას ინდივიდუალურად ესაუბრება, რეკომენდაციებს აძლევს. ამას რომ ხედავ, შენ, მოთამაშეც მეტად ინდომებ.

- იმედია, 2015 წლის მსოფლიოს თასზე მაგარი გუნდი გვეყოლება...

- თუ ერთა თასზე პირველი ადგილი დავიკავეთ ინგლისში C ჯგუფში მოვხვდებით. საკმაოდ რთული ჯგუფია და ძნელია წინასწარ რამის თქმა. ხელშესახები წარმატების მისაღწევად ძალიან ბევრი მუშაობა გვჭირდება.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ირაკლი მაჩხანელი

ლოგი

დაიბადა: 18.07. 1981 წელი
თამაშობდა: „აკადემია“ 2005 წლამდე
„ბეზიე“ 2005-2007
„მონ დე მარსანი“ 2007-2008
„აჟენი“ 2008-2009
„სენტ ეტიენი“ 2009-2010
„მონლუსონი“„ 2010-2011
„სენტ ეტიენი“ 2011-2012
„არმაზი“ - 2012 წლიდან
მსოფლიოს თასის 2003, 2007 და 2011 წლების გათამაშების მონაწილე.
საქართველოს ნაკრების კაპიტანი 2013 წლიდან.

კაცი, რომელიც ყველას უყვარდა!

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქუთაისის „აია“ საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდი იყო. 1987-1989 წლებში ქუთათურებმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვეს სსრკ-ის ჩემპიონობა. იმ პერიოდში ქუთაისურ გუნდში არაერთი სახელოვანი მორაგბე თამაშობდა, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ოლეგ ლიპარტელიანი გახლდათ, რომელიც მოგვიანებით მეოცე საუკუნის საქართველოს საუკეთესო მორაგბედ აღიარეს.

ოქროს გუნდის სახელოვანი შუამარბი 2003 წელს უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, 26 აპრილს მას 60 წელი შეუსრულდებოდა, ამ დღესთან დაკავშირებით მის მშობლიურ ლენტეხში სარაგბო სტადიონის გახსნა იყო დაგეგმილი, მაგრამ მიზეზთა გამო ცოტა ხნით გადაიდო.

ოლეგ ლიპარტელიანი 1953 წელს ლენტეხის რაიონში დაიბადა. თავდაპირველად მძლეოსნობაზე დადიოდა. რაგბიში ვარჯიში კი სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო. პირველად თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში თამაშობდა გელა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით. 1976 წელს კი თემურ ბენდიაშვილმა თბილისის „ლოკომოტივში“ მიიწვია. მისი პირველი მიღწევები სწორედ რკინიგზულ გუნდს უკავშირდება. 1978 წელს მან „ლოკომოტივთან“ ერთად საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და სეზონის მიწურულს სსრკ-ის თასის მფლობელიც გახდა. თუმცა, მისი თბილისური კარიერა „აიაში“ მიღწეულ წარმატებებთან ახლოსაც ვერ მივა.

ოლეგ ლიპარტელიანი ქუთაისურ გუნდში გადასვლის შემდეგ მთელი ბრწყინვალებით წარმოჩნდა. რობერტ ობოლაძესთან, ბართლომე ხამაშურიძესთან, ავთანდილ გიორგაძესთან, ალექსანდრე ნაჭყებიასთან, ნუგზარ ძაგნიძესთან და სხვა გამოჩენილ მორაგბეებთან ერთად ოლეგ ლიპარტელიანმა „აია“ სსრკ-ის საუკეთესო გუნდად აქცია. იგი ზედიზედ სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ორჯერ თასსაც დაეუფლა. მისი შესანიშნავი თამაში სსრკ-ს ნაკრების თავკაცებსაც არ გამოჰპარვიათ და 1984 წლიდან საბჭოთა ნაკრებშიც გამოდიოდა.

1986 წელს სსრკ-მა ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა და ოლეგ ლიპარტელიანი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ამ წარმატებითვის მას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებაც მიენიჭა. ოლეგ ლიპარტელიანს მიღებული ჰქონდა აგრეთვე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება და ღირსების ორდენი.

ოლეგ ლიპარტელიანი ქართული რაგბის ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ ის იყო საქართველოს ნაკრების პირველი კაპიტანი. 1989 წლის 16 სექტემბერს ქუთაისში საქართველოს ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი გამართა ზიმბამბვეს ნაკრებთან და აღნიშნულ მატჩში ქართველებს სწორედ ოლეგ ლიპარტელიანმა უკაპიტნა. ამის ჩათვლით მან ეროვნულ გუნდში 3 მატჩი ჩაატარა. ის იყო ქუთაისის „აიას“ მოთამაშე მწვრთნელიც და საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ასეთი მდიდარი კარიერა ჰქონდა ღვაწლმოსილ სპორტსმენს, რომელიც თავისი ადამიანობითაც გამორჩეული იყო და თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა.

● კალათბურთი

ნოუთბუკი კობისგან

დუაიტ ჰოვარდი საჩუქრით

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **კობი ბრაიანტმა** თავის ყველა თანაგუნდელს Lenovo-ს ნოუტბუკი აჩუქა.

ამით კალიფორნიელთა ლიდერმა მადლობა გადაუხადა პარტნიორებს იმისთვის, რომ ისინი კობის იმ პირობის ასრულებაში დაეხმარნენ, რომელიც კალათბურთელმა სეზონის შუაში დადო. თებერვალში 34 წლის მცველმა განაცხადა, რომ "ლეიკერსი" პლეი ოფში შეძლებდა გასვლას.

● ფორმულა 1


რონ დენისი

უპატრონო მაკლარენი

გამოცემა Auto Motor und Sport იტყობინება, რომ ბაჰრეინულმა ჰოლდინგმა, რომელიც „მაკლარენის" აქციათა ძირითადი მფლობელი გახლავთ, McLaren Group-ის აღმასრულებელ დირექტორსა და ფორმულა 1-ის გუნდის მრავალი წლის ხელმძღვანელს **რონ დენისს** დირექტორთა საბჭოში ხმის უფლება ჩამოართვა. ამიერიდან, დენისი კომპანიის არააღმასრულებელი დირექტორია, თუმცა შეინარჩუნა აქციები, რისი წყალობითაც სხდომებს მხოლოდ თანამფლობელის რანგში დაესწრება.

ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა „მაკლარენის" სერიული ავტომობილების რეალიზაციის გეგმის ჩაგდება: 3 500 ავტომობილის ნაცვლად, კომპანიამ მხოლოდ ამ რაოდენობის ნახევარი გაყიდა. ჰოლდინგი დანაკარგს რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარად აფასებს და მიაჩნია, რომ ვერ შეძლებს ამ ზარალის ანაზღაურებას.

ჯერჯერობით არ იტყობინებიან იმის შესახებ, თუ ვინ დაიკავებს ხელმძღვანელის ადგილს „მაკლარენში".

■ ■ ■

გერმანული საჯინიბო „მერსედესი" გეგმავს, თავისი რესურსების დიდი ნაწილი ახალი ბოლიდის შესაქმნელად გადაისროლოს. 2014 წლის მანქანაზე მუშაობა უკვე მაისში დაიწყება.

კომპანიის სპორტული განყოფილების შეფის, **ტიტო ვოლფის** თქმით, უკვე შექმნილია ახალი შასი. მას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ გუნდების დიდი ნაწილი მსგავს სტრატეგიულ მოდელს შეიმუშავებს, რადგან ახალი ტექნიკური რეგლამენტი ბოლიდების შექმნის საკითხის გადახედვას ითვალისწინებს.

ვოლფს მიაჩნია, რომ წლევანდელი სეზონის ლიდერები ამ საკითხში სხვებს ჩამორჩებიან, რადგან არ მოისურვებენ მიმდინარე შედეგების მსხვერპლად შენირვას.

● რალი

სებასტიან ლოები

ლოები არგენტინაში ბრუნდება

ლეგენდარული ფრანგი რალისტი, მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი **სებასტიან ლოები** მსოფლიოს ჩემპიონატში ბრუნდება. როგორც ცნობილია, ლოებმა გასული სეზონის შემდეგ განაცხადა, რომ ნაწილობრივ ასრულებს კარიერას კლასიკურ რალიში და 2013 წელს რამდენიმე ეტაპში მიიღებს მონაწილეობას.

წლევანდელ ჩემპიონატში ლოებმა პირველ ეტაპზე - მონტე კარლოს რალიში მიიღო მონაწილეობა და პირველი ადგილი მოიპოვა. მომდევნო სამი ეტაპი კი გამოტოვა და ამ რბოლებში გამარჯვება მოიპოვა **სებასტიან ოჟიემ** „ფოლკსვაგენის" მანქანით.

გუშინ, ლოებმა განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს არგენტინის რალიში, რომელიც პირველ მაისს დაიწყება.

NBA პლეიოფი

ფავორიტები ისევ იგუბენ

ალმოსავლეთის ოთხი წყვილიდან სამში მასპინძლებმა ორ-ორ გამარჯვებას მიაღწიეს. ერთ-ერთია "ინდიანა პეისერსი", რომელიც პირველად ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, დაწინაურდა სერიაში 2:0. და არ ჩანს იმის ნიშნები, რომ "ატლანტა" შეძლებს ამ სერიის თავის სასარგებლოდ შემობრუნებას.

"პეისერსი" პირველი წუთიდან ბოლომდე აკონტროლებდა მეორე მატჩის მსვლელობას და სწორედ იმ მომენტში უმატებდა თამაშს, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ კლასში დიდი სხვაობის მქონე გუნდები.

ერთადერთი, რითაც **ლარი დრიუს** შეგირდები დაიკვეხნიან, მსაჯებთად ხშირი კამათი იყო. "ჰოქსის" დამრიგებელი საფინალო სირენის შემდეგ აშკარად დათრგუნვილი ჩანდა, რაც ბუნებრივია – ზედიზედ ორი მატჩის წაგება ორნიშნა სხვაობით არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს.

113 დაგროვილი ქულა – საუკეთესო შედეგიანობაა "ინდიანასთვის" პლეი ოფში 13 სეზონის განმავლობაში. ბოლოს, უფრო მეტი ქულა ამ გუნდმა 2000 წელს, "ლეიკერსთან" ფინალურ სერიაში აიღო.

ინდიანა-ატლანტა 113:98

25:19, 34:31, 29:26, 25:22

ი: ჯორჯი (27+8 მოხსნა+4 ჩაჭრა+3 პასი), ჰილი (22+3 პასი), ჰიბერტი (15+9 მოხსნა+3 დაფარება+3 პასი), გრინი (15).

ა: ჰარისი (17+4 პასი), სმიტი (16+6 მოხსნა+3 პასი), ტიგი (16+5 პასი), ჰორფორდი (13+10 მოხსნა+5 პასი).

სერია: 2-0

■ ■ ■

პირველი მატჩისგან განსხვავებით, როცა "ოკლაჰომას" ლიდერებს – **კევინ დურანტსა** და **რასელ უესტბრუკს** ძალების სრული დახარჯვაც არ დასჭირვებიათ "ჰიუსტონის" გასანადგურებლად, ამჯერად, მასპინძლებს ჰქონდათ სანერვიულო, როცა "თანდერმა" თავისი 15-ქულიანი უპირატესობა ოთხქულიან ჩამორჩენად გადააქცია მეოთხე მეოთხედში. ოდნავ მეტი გამართლება და "როკეტსი" შინ საკუთარი მოედნის უპირატესობით დაბრუნდებოდა.

მაგრამ სენსაცია არ მოხდა. "ჰიუსტონის" 21:2 გაქცევის შემდეგ, სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი "ოკლაჰომას" ლიდერმა კევინ დურანტმა. მან ჯერ შორიდან ჩააგდო, შემდეგ ორი შედეგიანი პასი გააკეთა – **ტაბო სეფოლოშასა** და **სერჟ იბაკას** მისამართით და მათი ზუსტი ტყორცნების შემდეგ, მატჩის ბედი მაინც "ოკლაჰომას" სასარგებლოდ გადაწყდა.

ოკლაჰომა-ჰიუსტონი 105:102

29:28, 28:27, 21:17, 27:30

ო: უესტბრუკი (29+5 მოხსნა+4 პასი+4 ჩაჭრა), დურანტი (29+9 პასი), იბაკა (12+11 მოხსნა+6 დაფარება), სეფოლოშა (11+7 მოხსნა), მარტინი (10).

ჰ: ჰარდენი (36+11 მოხსნა+6 პასი), პარსონსი (17+7 მოხსნა), ბევერლი (16+12 მოხსნა+6 პასი), დელფინო (11), აშიფი (9+14 მოხსნა).

სერია: 2-0

■ ■ ■

ამ სერიის ანგარიში – 2:0 ნათლად ასახავს ძალთა თანაფარდობას გუნდებს შორის. "სან ანტონიო" მართლაც სჯობს თავის მოწინააღმდეგეს თამაშის პრაქტიკულად ყველა კომპონენტში. მეორე მატჩში" "ლეიკერსმა" სცადა აგრესიულად თამაში, მაგრამ 45-პროცენტიანი სიზუსტით სროლა არ არის საკმარისი "სან ანტონიოს" დაცვის გადასალახად.

კალიფორნიელებმა მთავარი აქცენტი **პაუ გასოლისა** და **დუაიტ ჰოვარდის** წყვილ ხელგადატანეს, მაგრამ მესამე მეოთხედში "სუპერმენმა" ორი არასაჭირო ჯარიმა მიიღო და ოთხი პერსონალურით სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. სწორედ ამ მომენტში დაიწყეს მასპინძლებმა საკუთარი უპირატესობის გაზრდა. **ტონი პარკერმა** არ შეიმჩნია **სტივ ბლეიკის** წინააღმდეგობა და ზედიზედ 12 ქულა დაგროვა (სულ მესამე მეოთხედში – 15 ქულა). ფრანგმა **მანუ ჯინობილისთან** ერთად არანაირი შანსი არ დაუტოვა "ლეიკერსის" უკანა ხაზს და გაუმარტივა საქმე გუნდს მატჩის დასკვნით ნაწილში. კალიფორნიელებს უბრალოდ არ ალმოაჩნდათ პასუხი მეტოქის მცველების სიზუსტეზე: გასოლი და ბლეიკი საბოლოოდ მოეშვნენ, **სტივ ნეშმა** კი საერთოდ კოჭლობა დაიწყო, რადგან მუხლის არეში ტკივილი იგრძნო.

სან ანტონიო-ლეიკერსი 102:91

28:23, 28:25, 22:20, 24:23

ს-ა: პარკერი (28+7 პასი), დენანი (16+5 მოხსნა), ლეონარდი (16+7 მოხსნა), ჯინობილი (13+7 პასი+5 მოხსნა), ბონერი (10+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ლ: ჰოვარდი (16+9 მოხსნა+4 დაფარება), ბლეიკი (16+6 მოხსნა), გასოლი (13+9 მოხსნა+4 პასი), უორლდ პისი (13+5 მოხსნა), მორისი (10).

სერია: 2-0

შეტევაში რასელ უესტბრუკი

მისტერ ბოქლომი უმცროსი გასოლია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ მეორე ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გამოავლინა. რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, სეზონის საუკეთესო დამცველი („მისტერ ბოქლომი") გახდა "მემფის გრიზლისის" ცენტრი **მარკ გასოლი**.

ისევე, როგორც საუკეთესო მეექვსე მოთამაშის გამოვლენისას, ამჯერადაც, ჟურნალისტები გამოიკითხნენ. გასოლმა 30 პირველი ადგილი და 212 ქულა დაიმსახურა და 63 ქულით გაუსწრო "მაიამი ჰიტის" ლიდერ **ლებრონ ჯეიმსს**.

გასოლი პირველი ევროპელია, ვინც ეს პრიზი მოიპოვა. შარშან სეზონის საუკეთესო დამცველი გახდა **ტაისონ ჩენდლერი**, მანამდე კი ზედიზედ სამჯერ ლაურეატი გახდა **დუაიტ ჰოვარდი**.

გასულ რეგულარულ ჩემპიონატში გასოლი საშუალოდ 1.7 დაფარებასა და 1.0 ჩაჭრას აგროვებდა. სხვათა შორის, სეზონის საუკეთესო დამცველის პრიზზე „მემფისის" კიდევ ორი კალათბურთელი აცხადებდა პრეტენზიას - **ტონი ალენი** და **მაიკ კონლი**. სწორედ ამ სამეულისა და მათი პარტნიორების დამსახურებაა, რომ „მემფისი" ამ სეზონში ყველაზე ცოტა ქულას (88.7) უშვებდა. ალენი და კონლი გამოკითხვაში მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გავიდნენ, მესამეზე კი აღმოჩნდა „ოკლაჰომას" ცენტრი **სერჟ იბაკა** 122 ქულით.

საინტერესოა, რომ „მემფისში" თამაშისას აქვს აღებული ერთი ინდივიდუალური პრიზი მარკის უფროს ძმას, ამჟამად „ლეიკერსის" მძიმე ფორვარდს **პაუ გასოლს** - ის 2002 წელს სეზონის საუკეთესო დებიუტანტი გახდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



მარკ გასოლი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

რეგულარული ჩიკაგოსია



ჩიკაგო ჩემპიონია

ჰოკეის ეროვნული ლიგის ჩემპიონატის დასრულებამდე სამი სათამაშო დღეა დარჩენილი. კონფერენციებში ბოლომდე იქნება ბრძოლა პლეი ოფის დარჩენილი ოთხი საგზურისთვის. მანამდე კი გაირკვა „პრეზიდენტ ტროფის“ მფლობელი. ეს პრიზი გადაეცემა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს.

ვადაზე ადრე რეგულარულ სეზონში პირველი ადგილი და სტენლის თასზე განთესვის პირველი ნომერი მოიპოვა „ჩიკაგო ბლეკჰოქსმა“. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჩიკაგოელებმა სტუმრად დაამარცხეს „ედმონტონი“ - 4:1.

პირველი პერიოდის დასაწყისში ანგარიში „ბლეკჰოქსის“ კაპიტანმა **ჯონათან ტეივზმა** გახსნა. მართალია, ერთი წუთის შემდეგ, შარშანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა **ნაილ იაკუპოვმა** ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ სამ წუთში **პატრიკ კეინმა** ისევ წინ გაიყვანა „ჩიკაგო“.

მეორე პერიოდმა გატანილი გოლების გარეშე ჩაიარა, შეხვედრის დასკვნით ნაწილში კი სტუმრებმა **ჯონ ოდუიასა** და **პატრიკ შარპის** გოლებით გაამყარეს უპირატესობა. „ედმონტონისთვის“ ეს იყო ზედიზედ მესამე წაგება, „ჩიკაგოს“ ჰოკეისტებმა კი თავის ისტორიაში მეორედ მოიპოვეს „პრეზიდენტ ტროფი“. პირველად ეს 1991 წელს მოხდა.

■ ■ ■

სეზონის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი „პიტსბურგ პინგვინზი“, სავარაუდოდ, ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდება პლეი ოფის მატჩებს. **ევგენი მალკინი** და **ჯეიმს ნილი** უკვე გამოჯანმრთელდნენ და ყინულზე დაბრუნდნენ, გუნდის კაპიტანი **სიდნი კროსბი** კი ჯერ ისევ აგრძელებს აღდგენით პროცესს ყბის მოტეხილობის შემდეგ.

თავდამსხმელი ელოდება ექიმების ნებართვას სავარჯიშო პროცესის განახლებისთვის და როგორც ამბობენ, კროსბი დღეს ან ხვალ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ნებისმიერ შემთხვევაში, კროსბი გამოტოვებს რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ ორ შეხვედრას, მაგრამ იმედი აქვს, რომ პლეი ოფის პირველივე მატჩისთვის შეძლებს თამაშს.

ხანგრძლივი უთამაშებლობის მიუხედავად, კროსბი 56 ქულით გუშინდელ დღემდე ინარჩუნებდა პირველ ადგილს ბომბარდირთა დავაში, მაგრამ „ტამპა ბეის“ ფორვარდმა **მარტინ სან ლუიმ** „ტორონტოს“ წინააღმდეგ ჰეთ-თრიკი შეასრულა, 58 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, კროსბის დაეწია „ტამპას“ კიდევ ერთი ფორვარდი **სტივენ სტემკოსი.**

ტამპა ბეი-ტორონტო 5:2

0:1, 2:1, 3:0

გოლები: 0:1 კესელი-17 (ბოჭაკი-16), 1:1 სტემკოსი-29 (ტომპსონი-7, მ. კარლი-17), 2:1 სან ლუი-14 (ტომპსონი-8), 2:2 ლუპუული-11 (მაკარტური-12, ფრანსონი-24), 3:2 გუდასი-2 (პურსელი-24, სტემკოსი-27), 4:2 სან ლუი-15 (ოლი-5, ტირელი-3), 5:2 სან ლუი-16 (ლეკავალიე-21).

დეტროიტი-ლოს ანჯელესი 3:1

0:0, 1:1, 2:0

გოლები: 0:1 კლიფორდი-6 (ტ. ლუისი-9, სტოლი-11), 1:1 დაციუკი-14 (ჯ. ერიქსონ-10, ზეტერბერგი-33), 2:1 ტუტუ-3 (ივსი-6, ბ. სმიტი-8), 3:1 ფრანცენი-13 (ზეტერბერგი-34, დაციუკი-29).

ედმონტონი-ჩიკაგო 1:4

1:2, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ტეივზი-22 (საადი-16, მარიან ჰოსა-13), 1:1 იაკუპოვი-12 (ფისტრიჩი-4, ჰორკოფი-5), 1:2 ვ. კეინი-22 (ჰანზუში-4, როუსიეალი-12), 1:3 ოდუია-3 (ვ. კეინი-31, ჰანზუში-5), 1:4 შარპი-6 (ვ. კეინი-32, ჰანზუში-6).

ფინიქსი-სან ხოსე 2:1

2:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 სტოუნი-5 (ვრბატა-15, დოუნი-12), 2:0 იენდლი-10 (ეკმან-ლარსონი-20, დოუნი-13), 2:1 ბერნსი-9.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

შვედეთი

გიოტებორგი-მალმიო	1:1

II დივიზიონი

ფალკენბერგსი-ჰამარბიუ	1:0

ფინეთის თასი

1/8 ფინალი

ბკ46-იუვასკიულა	0:0 პენ. 1:4
ჯაზ პორი-ილპო	1:0
კოტკა-ჰონკა	0:1
ტურკუ-მარიეჰამნი	2:2 დ.დ. 2:3
ლაჰტი-კუოპიო	1:2
როვანიემი-ჰიკ	1:0

ბულგარეთის თასი

1/2 ფინალი. II მატჩი

ბეროე-ლევსკი	1:0 (0:0)

კალათბურთი

ევროლიგა

ბარსელონა-პანათინაიკოსი	64:53

თურქეთი

გალათასარაი-ბანვითი	83:75

ჰოკეი

ევროტური

ფინეთი-ჩეხეთი	2:3
შვედეთი-რუსეთი	4:2

ATP. ბარსელონა

შარდი-მანაკო	0:6, 6:7
ტურსუნოვი-ბელუჩი	6:4: 1:6, 3:6
ალმაგრო-გრანოლერსი	6:3, 6:4

ATP. ბუენოსაირესი

გოფენი-ფ. მაიერი	6:7, 6:1, 3:6
იუჟნი-ჰანესკუ	4:6, 3:6
სტახოვსკი-გარსია ლოპესი	6:1, 3:6, 4:6
ტიპსარევიჩი-ხირალდო	6:3, 6:3

WTA. მარაკეში

კანეპი-მინელა	6:3, 4:6, 3:6
პირონკოვა-დომინგეს ლინო	6:1, 4:6, 3:6
პუჩკოვა-სოლერ ესპინოსა	0:6, 3:6
მლადენოვიჩი-პუტინცევა	6:3, 6:3
პენეტა-ბერტენსი	6:7, 6:4, 4:6
სკიავონე-ჰალეპი	6:3, 6:2

WTA. შტუტგარტი

ლუჩიჩი-ნა ლი	1:6, 2:6
შვედოვა-სუარეს ნავარო	7:5, 6:4
კერბერი-პავლიუჩენკოვა	6:0, 6:4
კვიტოვა-გორგესი	2:6, 7:6, 6:2
ივანოვიჩი-პეტროვა	6:4, 6:3
შარაპოვა-საფაროვა	6:4, 6:7, 6:3
იანკოვიჩი-ლისიცკი	6:7, 5:7

TV პროგრამა

26 აპრილი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ფენერბახჩე-ბენფიკა.
12:00 ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბაზელი-ჩელსი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ფეიენორდი-ვიტესი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ლივერპული-ჩელსი.
18:00 ყოველკვირეული ტელეფუურნალი - FOOTBRAZIL.
18:30 ყოველკვირეული ტელეფუურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. დორტმუნდი-რეალი.
21:00 საფეხბურთი პროგრამა - გოლი.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ფიურტი-ჰანოვერი (LIVE).
00:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ევერტონი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მემფისი-კლიპერსი. III მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შალკე.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ტულონი-ლესტერი.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. პიუსტონ როკეტსი. 1994-95 წელი.
20:00 ყოველკვირეული ტელეფუურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მემფისი-კლიპერსი. III მატჩი.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-ეფესი. V მატჩი (LIVE).
00:45 NBA ACTION.
06:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ლეიკერსი-სან ანტონიო. III მატჩი (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	6 20	(მზე)
ქუთაისი	7 17	(ხანმოკლე წვიმა)
ბათუმი	8 17	(მზე)
ფოთი	9 15	(მზე)
ზუგდიდი	8 15	(მზე)
გორი	5 17	(ხანმოკლე წვიმა)
თელავი	4 19	(მზე)
სიღნაღი	3 19	(მზე)
გუდაური	-7 6	(თოვლქარი)
ბაკურიანი	-4 11	(მზე)
ბორჯომი	3 14	(მზე)
ვესტია	-2 6	(მცირე წვიმა)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1572
1 ამერიკული დოლარი	1.6509
1 ბრიტანული ფუნტი	2.5490
100 რუსული რუბლი	5.2716

კრივი

პაკიაოს მეჯოქე და მეივეზერის მეტსახელი

რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 34 წლის ფილიპინელი **მენი პაკიაო** 13 ოქტომბერს გეგმავს რინგზე დაბრუნებას. მან ორ მოკრივეს შორის უნდა აირჩიოს მონინააღმდეგე: მჩატე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონი **ბრენდონ რიოსი** ან პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის დროებითი ჩემპიონი **მაიკ ალვარადო.**

პაკიაოს მეხუთედ სურდა **ხუან მანუელ მარკესთან** შეხვედრა, მაგრამ უკვე დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ მარკესი 14 სექტემბერს, ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონს **ტიმოტი ბრედლის** დაუპირისპირდება.

როგორც პაკიაოს პრომოუტერი **ბობ არუმი** ამბობს, პაკიაო ბრძოლას არა მაკაოში (როგორც ადრე იყო გამოცხადებული), არამედ სინგაპურში ჩაატარებს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ.

■ ■ ■

ამასობაში, თანამედროვე კრივის კიდევ ერთმა ვარსკვლავმა, ამერიკელმა **ფლოიდ მეივეზერმა** თავისთვის ახალი მეტსახელი მოიგონა - „მოჩვენებებზე მონადირე“.

ფლოიდს 4 მაისს ელის შეხვედრა **რობერტ გერეროსთან,** რომელიც რინგზე ასეთი მეტსახელით გამოდის - „მოჩვენება“.



ფლოიდ მეივეზერი

შორტ-ტრეკი

ყველაზე წარმატებული ამერიკელი მიდის

აპოლონ ანტონ ონო

სპორტის ზამთრის სახეობებში ყველაზე ტიტულოვანმა ამერიკელმა სპორტსმენმა, შორტ-ტრეკის მოციგურავე **აპოლონ ანტონ ონომ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

ონომ განაცხადა, რომ მთლიანად სპორტიდან წასვლა არ სურს, ამიტომაც ტელევიზიაში მუშაობას გეგმავს. სპორტსმენმა ისიც დაამატა, რომ 2014 წელს, სოჭის ოლიმპიადაზე ამერიკული ტელევიზიის NBC-ის ჯგუფთან ერთად ჩავა.

ამერიკელს 2010 წლის ოლიმპიადის შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა ოფიციალურ ტურნირებში, თუმცა ფორმას ინარჩუნებდა და თავისი სიამოვნებისთვის ვარჯიშობდა. და მაინც, კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მტკიცედ მიიღო. *„ერთხელ დგება დღე, როცა კმაყოფილი ხარ იმით, რაც უკვე გააკეთე“,* - განაცხადა ტიტულოვანმა მოციგურავემ.

ონოს სამ ოლიმპიადაზე აქვს მიღებული მონაწილეობა - 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტიში, 2006 წელს ტურინში და 2010 წელს - ვანკუვერში. მის ანგარიშზეა ორი ოქრო, ორი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო. გარდა ამისა, ამერიკელი შორტტრეკისტი მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონი გახლავთ.

ჩოგბურთი

პიტს ნოვაკის ეშინია

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **პიტ სამპრასმა** განაცხადა, რომ სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა,** შესაძლოა, დაამოს მისი რეკორდი მსოფლიოს პირველი ჩოგანის რანგში დასრულებული სეზონების რაოდენობით.

სამპრასი ზედიზედ ექვსი წელი (1993-98) კლასიფიკაციის პირველ ადგილზე ასრულებდა სეზონს.

„მე მართლაც მიმაჩნია, რომ მას შეუძლია ამ მიღწევის გაუმჯობესება. ამაზე ფიქრი მას შემდეგ დავიწყე, რაც სერბმა მონტე კარლოს მასტერსი მოიგო. მას შეუძლია ძალიან დიდი ხნით შეინარჩუნოს პირველი ჩოგანის სტატუსი - ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში. თუ ნოვაკი ჯანმრთელად იქნება, ის ამ ამოცანას გაუმკლავდება. ჯოკოვიჩს მოგებული აქვს ჰარდზე, გრუნტსა და ბალახზე. ვფიქრობ, ის დარჩება მწვერვალზე იმდენ ხანს, რამდენსაც თავად მოისურვებს“, - ამბობს სამპრასი Tennis.com-ზე.

ჯოკოვიჩმა ბოლო ორი სეზონი დაასრულა პირველი ჩოგანის რანგში. ამ მომენტისთვის, მისი უპირატესობა მეორე ადგილზე მყოფ როჯერ ფედერერზე 4230 ქულას შეადგენს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ნოვაკი და პიტი

ჯანდაბა, გერმანული ფინალი!

ჩემპიონთა ლიგა გერმანიის დროშის ფერებში შეიღება. პირველი ნახევარფინალური შეხვედრების შემდეგ გერმანული გუნდები 8:1-ს იგებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფინალში 90 პროცენტით გერმანულ ფინალს ვიხილავთ. გამოგიტყდებით, ესპანურ ფეხბურთს პატივს ვცემ, მაგრამ ნამდვილად არ მჯერა, რომ განმეორებით შეხვედრებში „ბარსელონა“ „ბაიერნს“ მინიმუმ 4:0-ს მოუგებს, ხოლო „რეალი“ „ბორუსიას“ - 3:0-ს.

ფინალური შეხვედრა ლონდონში გაიმართება. ამასთან დაკავშირებით „ფეისბუკზე“ ერთი გემრიელი ხუმრობა გაჩნდა: უინსტონ ჩერჩილის ფოტოს ასეთი მინაწერი აქვს: „ჯანდაბა, გერმანელები ლონდონში!“

იყო დრო, გერმანელები ევროპის ჩემპიონატშიც ასეთი ტაქტიკით იმარჯვებდნენ: „ვინც მოითმენს, ის მოიგებსო“, მაგრამ ამ კვირაში „ბორუსიამ“ და „ბაიერნმა“ ბურთის ფლობის ჯადოქრებს, 2-3 კაცის ერთდროულად მოტყუების გაკვეთილები ჩაუტარეს. სწორედ ამიტომ, ჯერ არ მინახავს ესპანური ფეხბურთის ქომაგი, პირენეული გუნდების წაგებას მეტისმეტად მძაფრად რომ განიცდიდეს. ისინი ხომ იმიტომ გულშემატკივრობენ ესპანელებს, რომ სანახაობრივი თამაში იზიდავთ. ჰოდა, ნახეს შემტევი, ლაღი თამაში, ოღონდ გერმანელების მხრიდან. გერმანულ ტალღაში ჩაიკარგნენ მესი და რონალდო, რეალელ „ალემანებზე“ იოზილსა და ხედირაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

„ბორუსია“-“რეალის“ მატჩის შემდეგ მეგობარმა იხუმრა - ხვალ, „რეალის“ ქომაგები „ბარსას“ ფანებს ნიშნის მოგებით ეტყვიან: ჩვენ ერთი მაინც გავიტანეთო. „რეალისა“ და „ბარსას“ დაპირისპირების შესახებ გაჩნდა უამრავი კომიქსი თუ იუმორისტული ჩანახატი რონალდოსა და მესის მონაწილეობით. მათ შორის ბევრი უხამს სიტყვას შეიცავს და საგაზეთოდ არ გამოდგება. ყველაზე კეთილი ხუმრობა კი ასეთია:

რონალდო და მესი ერთმანეთს ხელს ართმევენ. არგენტინელი:

- ფინალში შევხვდებით!
- შენთან ვუყუროთ თუ ჩემთან?

ვაჟა სიმონიშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608